საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 6 (279) ● ოთხშაბათი, 15 იანვარი, 1992 წელი. ● ფასი 20 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ

სახელმწიფოს მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაციის აღკვეთისა და პრესის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების კუთვნილი პრესის საშუალებები გამოცხადდეს პრესის დამოუკიდებელ ორგანოებად.

2. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის შესაბამისად მოხდეს ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში აღნიშნული პრესის საშუალებების დაფუძნება და სათანადო ორგანოებში რეგისტრაცია.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი გ. ბერიძე.

თბილისი, 1992 წლის 14 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, რომელიც არეგულირებდა პოლიტიკური პარტიების შექმნისა და ფუნქციონირების საკითხებს და ქმნიდა პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციულ-სამართლებრივ გარანტიებს, უსაფუძვლოდ იქნა შეჩერებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით.

იმისათვის, რომ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს შეექმნათ სათანადო პირობები თავიანთი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობისათვის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 ნოემბრის დადგენილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების დროებით შეჩერების თაობაზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო შეუდგეს პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციას „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი გ. ბერიძე.

თბილისი, 1992 წლის 14 იანვარი.

ვითარება ნორმალური ხდება

როგორც თბილისის კომენდანტურაში გვაცნობეს, 13 იანვარს ღამით კომენდანტის საათის მოქმედების დროს ქალაქში და მის მიდამოებში არ ყოფილა დაფიქსირებული არავითარი სერიოზული შემთხვევა. მხოლოდ შუაღამისას, ძველით ახალი წლის გამო, თბილისის სხვადასხვა კუთხეში ისმოდა ცეცხლსასროლი იარაღის სროლის ხმა.

საქინფორმი.

სხვა გაზეთებიდან

სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახური უფლებამოსილია განაცხადოს:

ამა წლის იანვრის პირველსა და ორს საქართველოს რესპუბლიკის ურთიერთმებრძოლმა მხარეებმა — ოფიციალურმა ხელისუფლებმა და ოპოზიციის ლიდერებმა თხოვნით მიმართეს სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას ეკისრა სამშვიდობო საშუამავლო მისია.

სომხეთის მთავრობამ, რომელიც გაგებით მოეკიდა ამ მიმართვას, — დაინტერესებულმა იმით, რომ რაც შეიძლება მალე შეწყვეტილიყო შეიარაღებული ურთიერთბრძოლა მოძმე საქართველოში, გაგზავნა დელეგაცია. ორ-სამ იანვარს დელეგაციას შეხვედრები ჰქონდა მხარეთა ხელმძღვანელებთან.

ამ შეხვედრების დროს განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიც არის ცეცხლის შეწყვეტა და შემდგომი სისხლისღვრის თავიდან აცილება. შეეხნენ აგრეთვე იმ საკითხს, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას სომხეთში მიეცეს დროებითი თავშესაფარი, თუ ის საქართველოდან გაემგზავრება.

6 იანვარს ოპოზიციამ საშუალება მისცა პრეზიდენტ გამსახურდიას და მის თანმხლებ პირებს დაეტოვებინათ საქართველო და აზერბაიჯანის გავლით ჩასულიყვნენ სომხეთში.

მეორე დღეს მივიღეთ ბატონ სიგუას დეპეშა, რომლითაც სომხეთის მთავრობას აუწყებდნენ, რომ საქართველოს მთავრობა წინააღმდეგი არ არის ზ. გამსახურდიას და მისი ოჯახის წევრებს მისცენ თავშესაფარი სომხეთში. რაც შეეხება მის თანმხლებ ასზე მეტ შეიარაღებულ პირს, საქართველოში დაბრუნებისას მათ აღუთქვამდნენ სრულ ამნისტიას.

9 იანვარს ზ. გამსახურდიამ ოფიციალურად მიმართა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ლ. ტერ-პეტროსიანს თხოვნით მიეცათ მისთვის და მისი ოჯახის წევრებისა და პირადი დაცვისათვის დროებითი პოლიტიკური თავშესაფარი.

მეორე დღეს საპასუხო წერილით ლ. ტერ-პეტროსიანმა გამსახურდიას აცნობა, რომ გადაწყდა მისცენ მას და მისი ოჯახის წევრებს დროებითი თავშესაფარი სომხეთში. წინადადება მისცეს აგრეთვე, რომ მისმა თანმხლებმა პირებმა სიით ჩააბარონ იარაღი და საბრძოლო მასალა, რათა ეს ყველაფერი გადასცემოდა საქართველოს კანონიერ ხელისუფალთ. ამავე დროს მიღწეულია შეთანხმება იმაზე, რომ სომხეთის ტერიტორია ბატონმა გამსახურდიამ არ გამოიყენოს პოლიტიკური საქმიანობისათვის.

სომხეთის მთავრობა, რომელიც პატივს სცემს სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს, დაინტერესებულია ვითარების უსწრაფესი სტაბილიზაციით და მშვიდობის განმტკიცებით მოძმე საქართველოში.

ჩვენ მივმართავთ მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებას და მოვუწოდებთ აწონ-დაწონონ, ობიექტურად გააშუქონ ის ამბები, რომლებიც დაკავშირებულია სომხეთის ტერიტორიაზე ზ. გამსახურდიას დროებით ყოფნასთან.

დარწმუნებული ვართ, რომ სომხეთის ხელისუფალთა ჰუმანურ ძალისხმევას ღირსეულად შეაფასებს ქართველი ხალხი. იგი ხელს შეუწყობს სომეხ-ქართველთა საუკუნეობრივი მეგობრული კავშირურთიერთობის განმტკიცებას.

12.01.1992 წ.

გაზეთი „რესპუბლიკა არმენია“.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი ხელისუფლებისა და ოპოზიციური ძალების დაპირისპირების პერიოდში საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკითხებით მანიპულირება პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად იქცა. ამავე დროს ამჟამად გახშირდა აბსოლუტურად არაკომპეტენტურ და დამახინჯებულ ფაქტებზე დაყრდნობილი განცხადებები საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია განაცხადოს:

1. საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების გაუქმებისა და ეროვნული მთავრობის შექმნის პირველი დღეებიდანვე საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე დადგა რთული და პასუხსაგები ამოცანა — საფუძველი ჩაეყარა ეროვნული დიპლომატიური სამსახურისათვის და ხელი შეეწყო დამოუკიდებელი საქართველოს ჩართვისათვის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

სამინისტრო გაფართოვდა, შეივსო ახალი კადრებით, მიუხედავად კადრების ერთი ნაწილის — ყოფილი მმართველი ბლოკის და პირადად ყოფილი პრეზიდენტის ერთგულების ნიშნით დაკომპლექტებისა, სამინისტროს შემადგენლობის ის ნაწილი, რომელიც თავის ერთადერთ მოვალეობად თვლიდა და თვლის პროფესიულ საქმიანობას საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, იმედოვნებდა, რომ სამინისტრო ძირითადად შეძლებდა საფუძველი შეექმნა აღნიშნული ამოცანის გადაჭრისათვის.

სამწუხაროდ, ყოფილი ხელისუფლების საგარეო და საშინაო პოლიტიკურმა პრინციპებმა, უფრო სწორად კი — უპრინციპობამ, საგრძნობი ზიანი მიაყენეს ახალფეხადგმული საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკას.

საგარეო პოლიტიკური კურსის დადგენისა და მისი პრაქტიკულად განხორციელებისათვის საჭიროა საგარეო პოლიტიკური პრინციპებისა და პრიორიტეტების, კონცეფციის შემუშავება, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ რეალობებს და გამომდინარეობდეს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის პრინციპებიდან. სამინისტროს პროფესიულმა ბირთვმა პირველ რიგში სწორედ ამგვარი კონცეფცია შეიმუშავა. სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილ ამ დოკუმენტს, ცხადია, ვერ გაეცნობოდნენ ის არაკომპეტენტური პირები, რომლებიც სამინისტროს ბრალს სდებენ აღნიშნული კონცეფციის არარსებობაში.

კონცეფციის პროექტი აშშ-ის გავლენიანი საშუამავლო ფირმის „ჯონ ადამს ინკორპორეიშნ“-ის მეშვეობით, რომელსაც, კერძოდ, დავალებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების დაცვა საზღვარგარეთ, აპრობირებისათვის გაეგზავნა მსოფლიოს ყველაზე ცნობილ პოლიტოლოგიურ ცენტრებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს. პროექტმა მათი, მათ შორის აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბჟეზინსკის, მისი მოადგილის პ. ჰენზის და სხვათა მოწონება დაიმსახურა. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები სამინისტროს გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ კონცეფციის საკუთარი ძალებით შემუშავებამდე, სამინისტრომ არაერთხელ სთხოვა რესპუბლიკის პრეზიდენტს შეხვედრა, რათა მას, როგორც ხელისუფლების სათავეში მდგომს, ჩამოეყალიბებინა თავისი შეხედულებები საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მაგრამ, მიუხედავად მრავალი ცდისა, პრეზიდენტმა ვერა და ვერ გამონახა (ან არ გამონახა) ამის დრო.

სამინისტროს სურდა თანამშრომლობა უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიასთანაც, მაგრამ გულისტკივილს და გაუგებრობას იწვევს ის დაპირისპირება, რომელიც გამოიკვეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასა და კომისიის ხელმძღვანელობას შორის. ეს მაშინ, როდესაც ასეთი თანამშრომლობა უდავოდ ნაყოფიერი შეიძლებოდა ყოფილიყო. ბოლო ეტაპზე კი ყოფილმა პრეზიდენტმა პრაქტიკულად დაარბია აღნიშნული კომისია და მისი შემადგენლობა სრულიად არაკომპეტენტური პირებით შეცვალა.

ყოფილმა პრეზიდენტმა თავი აარიდა უკვე შექმნილი კონცეფციის პროექტის განხილვასაც. მას არ მოჰყოლია არც დადებითი, არც უარყოფითი შეფასება.

2. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, სამინისტროს როგორც პოლიტიკურმა, ისე ეკონომიკურმა და სხვა სამსახურებმა, შეძლეს საგრძნობი პრაქტიკული სამუშაოს შესრულება და საფუძველი მოამზადეს, რათა საქართველო წარმატებით ჩართულიყო საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში.

სამინისტროს მუშაკებს მოსკოვში არაერთხელ ჰქონდათ შეხვედრები და საუბრები პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს საელჩოს წარმომადგენლებთან. ხდებოდა აზრთა მეტად საჭირო და სასარგებლო, მუდმივი გაცვლა-გამოცვლა უცხოეთის ქვეყნის მაღალი დონის დელეგაციებთან, პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეებთან, ბიზნესმენებთან, ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან. ასეთი საუბრების მიზანი იყო, რომ ჩვენს პარტნიორებს პოზიტიური წარმოდგენა შექმნოდათ საქართველოს საგარეო-ურთიერთობების პრინციპებზე. ყველაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ აგვეხსნა წინააღმდეგობა ასეთ მისაღებ პრინციპებსა და ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკასა თუ გაუმართლებელ, აშკარად დაუფიქრებელ გამონათქვამებს შორის. თავიდან ამას ვხსნიდით ხანგრძლივი კომუნისტური ბატონობის რეციდივებით, ნამდვილი დემოკრატიის შენებისათვის საჭირო დროის სიმცირით, ჯერ კიდევ არსებული „ცენტრის“ პოლიტიკით, მაგრამ რაც დრო გადიოდა და „ცენტრი“ იშლებოდა, ხოლო საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა ნათელ კონტურებს იძენდა, მსოფლიო რწმუნდებოდა, რომ ყოფილი ხელისუფლების როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში ცვლილებები ნაკლებად მოსალოდნელი იყო.

აღნიშნულს ემატებოდა ისიც, რომ რამდენჯერმე ჩაიშალა დეტალებამდე მომზადებული უმნიშვნელოვანესი ვიზიტები საზღვარგარეთ. ჩაიშალა ყოველგვარი მიზეზის აუხსნელად პირადად ყოფილი პრეზიდენტის განკარგულებით. მაგალითისათვის იკმარებს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში, რომელიც 1991 წლის 3-15 სექტემბერს უნდა გამართულიყო. ამ ვიზიტის მომზადების დიდი სიძნელეების გადალახვა მოგვიხდა, მაგრამ მაინც მოხერხდა მიგვეღო თანხმობა, რათა საქართველოს წარგზავნილები მიეღო აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს დ. კუეილს, სახელმწიფო მდივანს ჯ. ბეიკერს, მის მოადგილეს ლ. იგლბერგერს, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველს ეროვნული უშიშროების დარგში ბ. სკოუკროფტს, თავდაცვის მინისტრს რ. ჩეინის და სხვებს. ამავე ვიზიტის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრს უნდა წარმოეთქვა სიტყვა გაერო-ს ეკონომიკურ საბჭოში. ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს, თუ რა ნაყოფიერი შეიძლებოდა გამხდარიყო ამგვარი ვიზიტი. აღსანიშნავია რომ ეს ვიზიტი მომზადდა ჯერ კიდევ ბატონ თ. სიგუას მთავრობის თავმჯდომარედ ყოფნის დროს, შემდეგ აშშ-ში უნდა გამგზავრებულიყო ბატონი ბ. გუგუშვილი, მაგრამ პრეზიდენტმა მაინც გააუქმა ეს ვიზიტი.

თვით ყოფილი პრეზიდენტის არასწორი, უპრინციპო პოლიტიკის შედეგად მსოფლიოს ქვეყნები უდიდესი სიფრთხილით ეკიდებოდნენ საქართველოსთან კონტაქტების დამყარებას. ამან განაპირობა ის გარემოებაც, რომ ყოფილ პრეზიდენტს აკვიატებულ იდეად ექცა საქართველოს დაუყოვნებლივი ცნობის და აღიარების იდეა. იგი პრაქტიკულად უარს ამბობდა ისტორიაში აღიარებულ, პოლიტიკური მიზნების ეტაპობრივად მიღწევის პრინციპზე და თავისი ქცევით ფაქტობრივად აცხადებდა: „ან მიმიღეთ დაუყოვნებლივ ისეთი როგორიც ვარ, ან თქვენთან სასაუბარი საერთოდ არ მსურს“.

3. დადგა დრო საქართველოს უცხოეთის სახელმწიფოების მიერ აღიარების საკითხშიც შევიტანოთ აუცილებელი სიცხადე. დღეისათვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არ მიუღია როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს დე-იურე ანუ სრული სამართლებრივი აღიარების არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი, გარდა სომხეთისა და აზერბაიჯანისა. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების სურვილის შესახებ გვაცნობეს რუმინეთმა, მოლდოვამ და უკრაინამ. თურქეთთან და ირანთან მივაღწიეთ შეთანხმებას მხოლოდ საკონსულოების გაცვლის თაობაზე. მაგრამ სამინისტროს დაჟინებული ცდების მიუხედავად ყველა ამ შეთანხმებას პრაქტიკული ნაბიჯები არ მოჰყოლია. რაც შეეხება დე-ფაქტო ანუ ფაქტობრივ აღიარებას, ამგვარად მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ გვაღიარა, როგორც დამოუკიდებელი გეოგრაფიული ერთეული ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მიუღია გადაწყვეტილება საკუთრივ საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული აღიარების თაობაზე და არ გამოუთქვამს ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების სურვილი. აღნიშნულის მიზეზი, ამ ქვეყნების მრავალრიცხოვანი გავლენიანი წარმომადგენლების აღიარებით, იყო ყოფილი ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი.

4. გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმ პირებსაც კი, რომლებიც არ იცნობენ საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობას, მის სპეციფიკას, რასაკვირველია, სრული უფლება აქვთ გამოთქვან კრიტიკული შენიშვნები სამინისტროს საქმიანობის გამო. მაგრამ კრიტიკა უნდა ეყრდნობოდეს უტყუარ ფაქტებსა და საქმის ღრმა ცოდნას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის ეს კრიტიკა ობიექტური და კონსტრუქციული. მხოლოდ ამ პირობით მოგვიტანს ის სარგებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო,

საქინფორმი

აკაკი ასათიანი: „ჩემი ფუნქციები ამოწურულად მიმაჩნია“

—**შექმნილ** სიტუაციაში არავითარი სურვილი არ მაქვს განვაგრძო პოლიტიკური საქმიანობა, — განაცხადა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა, რომელიც თბილისში ტრაგიკული მოვლენების შემდეგ პირველად მოვიდა თავისი პარლამენტის დეპუტატთა მორიგ, რიგით უკვე მეოთხე შეკრებაზე 13 იანვარს რომ გაიმართა. როგორც ცნობილია, პარლამენტის საქმიანობა შეაჩერა რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ. — ამავე დროს, აღნიშნა მან, დღეს, როცა ჩვენი ხალხი, მთელი საქართველო ყოველივე მომხდარის შემდეგ ასეთ შოკში იმყოფება, ჩვენ არ შეიძლება არ ვეცადოთ გამოვენახოთ გამოსავალი შექმნილი ჩიხიდან.

თბილისის კინოთეატრ „ამირანში“ გამართულ ამ კრებაზე, ისე როგორც წინა კრებებზე, არ ყოფილა დეპუტატთა კვორუმი, თუმცა, მათი რიცხვი რამდენადმე გაიზარდა წინა შეკრებასთან შედარებით. კრებას ესწრებოდა უზენაესი საბჭოს 75 წევრი, რომლებიც წარმოადგენდნენ პარლამენტის ყველა პოლიტიკურ ფრაქციას, მაშინ, როცა, თუ მისი უკანასკნელი შემადგენლობის რაოდენობით ვიხელმძღვანელებთ, საჭირო იყო კრებას დასწრებოდა სულ ცოტა 91 დეპუტატი. აქ მოვიდა ის 51 დეპუტატიც, რომლებიც წინათ გამოიწვიეს უზენაესი საბჭოს შემადგენლობიდან, რადგან ისინი არჩეული იყვნენ საქართველოს კომპარტიისაგან, რომლის საქმიანობა მოსკოვის აგვისტოს პუტჩის შემდეგ აკრძალული იყო რესპუბლიკაში. მათთან ერთად კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საკონსულტაციო საბჭოს წარმომადგენლები.

უზენაესი საბჭოსა და საკონსულტაციო საბჭოს წევრები, ყოფილი დეპუტატები გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს, წინადადებებს რესპუბლიკაში ვითარების სტაბილიზაციის გზების შესახებ. საუბარი ძირითადად ეხებოდა იმას, თუ კონკრეტულად ვინ არის უფლებამოსილი დანიშნოს ახალი პარლამენტის არჩევნები, როდის უნდა გაიმართოს იგი. დამსწრეთ მხარი არ დაუჭერიათ წინადადებისათვის გაემართათ არჩევნები მაისის დამლევს ან ივნისის დამდეგს, ისე როგორც წინადადებისათვის განეახლებინათ პარლამენტის მუშაობა თავდაპირველი და სრული შემადგენლობით. დაბრკოლების ლოდი გახდა საკითხი უზენაესი საბჭოდან განდევნილი კომუნისტებისა და საპარლამენტო ოპოზიციის დეპუტატთა უფლებამოსილების აღდგენის შესახებ. ერთნი დაჟინებით მოითხოვდნენ უზენაესი საბჭოს სესიის საგანგებო სხდომის გამართვას, რომელზეც იგი გამოაცხადებდა თავის თვითდაშლასა და ახალი პარლამენტის არჩევნების დანიშვნას, მეორენი კი, რომლებიც უნდობლობას უცხადებდნენ უზენაესი საბჭოს ახლანდელ შემადგენლობას, შეკრებილთ არწმუნებდნენ, რომ საჭიროა სახალხო კრების მოწვევა, რომელიც იკისრებდა კიდეც ამ ფუნქციებს.

რაც შეეხება კრების თავმჯდომარეს ბატონ აკაკი ასათიანს, მან ცალსახად განაცხადა, რომ თავის როგორც პარლამენტის მეთაურის ფუნქციებს ამოწურულად მიიჩნევს, რადგან პარლამენტი როგორც ასეთი ახლა არ არსებობს, რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ გააუქმა იგი.

ბოლოს და ბოლოს, ხანგრძლივი და მწვავე განხილვის შემდეგ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა გამოაცხადა თავისი განცხადების პროექტი, რომელიც შეიცავს მოწოდებას მოიწვიონ საქართველოს სახალხო კრება ყველა პოლიტიკური პარტიის, ავტონომიური რესპუბლიკების, ეროვნული უმცირესობების, სტუდენტობის, საზოგადოებრიობის ფართო ფენების მონაწილეობით. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ამ კრებამ უნდა მიიღოს ახალი კანონი არჩევნების შესახებ და განსაზღვროს მისი გამართვის ვადები. მოაწერენ თუ არა ხელს ამ განცხადებას ახლანდელი პარლამენტის ყველა ფრაქციის წარმომადგენლები, ამას გვიჩვენებს დეპუტატთა მორიგი კრება, რომელიც 15 იანვრისთვის არის დანიშნული.

ედუარდ ედიბერიძე,
საქინფორმის კორ.

რუსული ეკლესიის ჰუმანიტარული დახმარება

მოსკოვი, 14 იანვარი. (**საქინფორმის კორ. ენდი ჟამიერაშვილი**). რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მედიკამენტები და სურსათი გამოუგზავნა ქართველ ძმებსა და დებს. 30 ტონა ტვირთს მიიღებენ საქართველოს საპატრიარქოში და დაურიგებენ თბილისში ტრაგიკული მოვლენების დროს დაზარალებულებს.

სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი ალექსი მეორე მოსკოვში შეხვდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს. მან ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს და თქვა, რომ გლოვობს ამ ძმათამკვლელ ომში დაღუპულებისა და დაზარალებულების გამო და ადამიანების ტანჯვას აღიქვამს როგორც საკუთარს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ცნობა

ამ ბოლო დროს დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში გახშირდა მოქალაქეებსა და სახელმწიფო დაწესებულებებზე ყაჩაღური თავდასხმები, მკვეთრად იმატა ქურდობამ, ავტომანქანების გატაცებამ და სხვა დანაშაულმა. დამნაშავე ელემენტები ბოროტად სარგებლობენ იმით, რომ მილიციის მუშაკების დიდი ნაწილი ამ დღეებში იმსახურება რეგიონში მიმდინარე სხვადასხვა აქციების დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და მისი მონაწილეების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

მაგალითად, ვანის რაიონში, მარტო ერთ დღეს — 6 იანვარს მოხდა ოთხი მძიმე დანაშაული — რაიონის პრეფექტურის შენობაში მძიმედ დაჭრეს მოქალაქე, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. იმავე დღეს ქალაქ ვანში ოთხი შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა გაბრიელ პაპიაშვილის ბინას და გაძარცვა. ხოლო სოფელ ზეინდარში სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა აკაკი ლილუაშვილის ბინას, ცხელი უთოთი აწამეს ოჯახის უფროსი, გაიტაცეს ფული, საოჯახო ნივთები და სანადირო თოფი.

იმავე 6 იანვარს სოფელ ზეინდართან ავტომატებით შეიარაღებულმა შვიდმა ბოროტმოქმედმა ტაბელური იარაღი წაართვა მილიციის თანამშრომელს.

13 იანვარს ღამით სამი ბოროტმოქმედი, რომელთაგან ორი შეიარაღებული იყო ავტომატით, ერთი კი პისტოლეტით, მივიდა ბაღდადის რაიონულ საავადმყოფოში და მორიგე ექიმს იარაღის მუქარით მოსთხოვეს ნარკოტიკული ნივთიერებები. მორიგე ექიმმა მათ განუცხადა, რომ ნარკოტიკები შესანახად ჩაბარებული აქვს მილიციის რაიონულ განყოფილებას. მათ ავტომანქანაში ჩაისვეს ექიმი და მივიდნენ მილიციის შენობასთან, სადაც დაიწყეს მუქარა და უმისამართო სროლა. მილიციის მუშაკებმა შეძლეს ექიმის გათავისუფლება და მილიციის სამორიგეოში შეყვანა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბოროტმოქმედებმა შენობას დაუშინეს ცეცხლი. საპასუხო სროლით მილიციელებმა ერთი თავდამსხმელი დაჭრეს. იგი აღმოჩნდა ქუთაისელი ფრიდონ გრძელიძე. მას ჩამოერთვა კალაშნიკოვის მარკის ავტომატი ორი მჭიდით. ორმა ბოროტმოქმედმა, სამწუხაროდ, შეძლო მიმალვა.

13 იანვარს ღამით ქუთაისისა და დრანდის საგამოძიებო იზოლატორებიდან მოხდა გაქცევა. ქუთაისის იზოლატორიდან გაიქცა 379 პატიმარი, რომელთაგან 40 მაშინვე დააბრუნეს. დრანდის იზოლატორიდან გაქცეული 297 პატიმრიდან დაბრუნებულია 120 პატიმარი. მილიცია ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს დანარჩენი გაქცეული პატიმრების დასაკავებლად და იზოლატორში დასაბრუნებლად.

ამასთან იზოლატორებიდან გაქცეულთა საყურადღებოდ გვინდა განვაცხადოთ შემდეგი: რესპუბლიკაში უახლოეს ხანში მოსალოდნელია დიდმასშტაბიანი ამნისტიის გამოცხადება. იმ გაქცეულებზე, რომელიც თავისი ნებით არ დაუბრუნდებიან იზოლატორს, ეს ამნისტია არ გავრცელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამატებითი ძალები მიავლინა დასავლეთ საქართველოში დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი,

საქინფორმი.

როგორ ვაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო

დღეს ქართველი ხალხის წინაშე ისმება სამი ძირითადი საკითხი: რა მოხდა, როგორ და რატომ მოხდა, რისი იმედი შეიძლება გვქონდეს?

მოხდა კოორდინაციის კანონის დარღვევა და მისი შეცვლა ძალაუფლების სუბორდინაციის კანონით. პრეზიდენტმა დაიმორჩილა პარლამენტი. მოხდა ხელისუფლების უზურპაცია ერთი კაცის ხელში. დაირღვა დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი კანონი — ძალაუფლების გაყოფის და დაპირისპირებულ მხარეთა შორის კოორდინაციისა. ყველა დემოკრატიული ქვეყანა წარმოდგენილია ხელისუფლების წაკვეთილი პირამიდის სახით, რომლის თავზეც ორი ტაძარი დგას — პრეზიდენტი და პარლამენტი. ამ თანასწორუფლებიანობის თუნდაც ოდნავი დარღვევა, გადახრა ერთი მხრიდან მეორისაკენ უბედურების მომტანია ხალხისათვის. იდეა ძალაუფლების გაყოფისა და კოორდინაციისა ისტორიული გამოცდილების საფუძველზეა დადასტურებული.

სახელმწიფო ძალაუფლების დარღვევა მოხდა იმიტომ, რომ პარლამენტში ძირითადი ბირთვი წარმოდგენილი იყო ერთპარტიული ფორმით. კომუნისტებისადმი სიძულვილმა ხალხი მეორე, ერთპარტიულ სისტემაში ჩააგდო. ეს გახდა მიზეზი „მორჩილი უმრავლესობის“ კატეგორიის გაჩენისა უზენაესი საბჭოს შიგნით. ამ მოვლენას აქვს კიდევ უფრო ღრმა მიზეზი — არჩევნები. არჩევნების უაზროდ, უგნურად ჩატარება გახდა მიზეზი „მორჩილი უმრავლესობის“ გაჩენისა, რომელიც ძირითადად ატარებდა მასობრივი ადამიანის ფსიქოლოგიას და იდეოლოგიას. ხალხის ძირითადი მასა გაუთვითცნობიერებლად მონაწილეობდა არჩევნებში, ისინი არ იცნობდნენ, ან ზერელედ იცნობდნენ დეპუტატთა წინასაარჩევნო პროგრამას, ვინაიდან წინასწარ ინდიფერენტულად იყვნენ განწყობილნი არჩევნებისადმი და მისი შედეგებისადმი უფრო ადრე არსებული კომუნისტური რეჟიმის გავლენით, სადაც არჩევნები „დანიშვნით“ იყო შეცვლილი. ეს ნიჰილიზმი არის ძირითადი მიზეზი სახელმწიფო ძალაუფლების დემოკრატიული კოორდინაციის დარღვევისა. უმაღლესი ძალაუფლების გაყოფა არის საფუძველი ყოველგვარი დემოკრატიისა სახელმწიფოში, საზოგადოებაში. ეს არის დემოკრატიის ძირითადი კანონი, რომლის დარღვევა ყოვლად დაუშვებელია. თუ ქართველი ხალხი არ მოიშორებს აღნიშნულ ნიჰილიზმს, იგი შეიძლება დაიღუპოს. მასობრივი ნიჰილიზმი, რომელიც უვიცობაზე აღმოცენდება, არის მიზეზი ყოველგვარი დიქტატურისა და ტირანიისა.

ერთადერთი საშუალება, რისი იმედიც შეიძლება გვქონდეს, არის მხოლოდ და მხოლოდ იმ კანონზომიერების აღდგენა, რომლის მიხედვითაც უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლება უნდა არსებობდეს. უნდა მოიხსნას სუბორდინაცია და მის ადგილზე დადგინდეს კონსტიტუციურად, ახალი ფორმით კოორდინაცია — არც პრეზიდენტი, თუ გნებავთ მონარქი, არ უნდა ზღუდავდეს აბსოლუტურად პარლამენტს და არც პირიქით უნდა ხდებოდეს, არამედ ორივე ერთად, მართალია, ურთიერთდაპირისპირებაში, მაგრამ ერთ საქმეს — ხალხს უნდა ემსახურებოდეს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი პარლამენტის შექმნას, რომელიც თავისუფალი იქნება, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. იმისათვის, რათა პარლამენტმა თავისუფლად იმუშაოს, საჭიროა თავისუფალი იყოს პარლამენტის თითოეული დეპუტატი „ზემოდან“ და „გვერდიდან“, ე. ი. არ უნდა ექვემდებარებოდეს არც უფროსებს და არც ძმაკაცებს. იგი თავისუფალი უნდა იყოს ყოველმხრივ და მხოლოდ საკუთარი შეგნებისა და სინდისის წინაშე აგებდეს პასუხს.

დეპუტატის თავისუფლების რეალური განხორციელების გზა არის მისი მატერიალური დაინტერესების საკითხის ახლებურად გადაწყვეტა. იგი ხელფასს უნდა ღებულობდეს არა სახელმწიფოსაგან ცენტრალიზებული წესით, არამედ თვით იმ ხალხისაგან, იმ ამომრჩევლებისაგან, რომლებსაც იგი უნდა ემსახურებოდეს, ამით ხალხი, მასა უშუალოდ გახდება დაინტერესებული და მონაწილე სახელმწიფო პოლიტიკისა. აღნიშნული ეკონომიკური ბერკეტის გარეშე ჭეშმარიტი დემოკრატია არ განხორციელდება.

ეკონომიკური დაინტერესების განხორციელება უნდა მოხდეს საარჩევნო, არასახელმწიფოებრივი, თავისუფალი გადასახადის დაწესებით, რის გარეშეც პარლამენტარი ვერ გახდება ჭეშმარიტად თავისუფალი და ვერ შეასრულებს მის მოვალეობას. დეპუტატის ხელფასი უნდა დგინდებოდეს იმ ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, რომლებიც მას ხმას აძლევენ, ხოლო გადასახადის ფულადი რაოდენობა ერთი უნდა იყოს ყველა დეპუტატისა და ამომრჩევლისათვის, რათა დაცული იქნეს თანასწორობის პრინციპი. საარჩევნო გადასახადის ფულად რაოდენობას ადგენს თვით პარლამენტი. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს დეპუტატისადმი ყოველგვარი სხვა თანხის გადარიცხვა რომელიმე წარმოებისა თუ პირის მიერ, რათა გამოვრიცხოთ დეპუტატზე რაიმე სხვა ზემოქმედებაც კი (მაგალითად, თუ დაწესდება საარჩევნო გადასახადი, დავუშვათ 5-10 მანეთის ოდენობით წელიწადში თითო ამომრჩეველზე, დეპუტატს, რომელიც არჩეული იქნება საარჩევნო უბნიდან, სადაც, ვთქვათ, არის 5000 ამომრჩეველი, მაშინ მას ხელფასის ფორმით საკმაო სოლიდური თანხა მიეცემა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ გაამართლებს ამომრჩეველთა იმედებს, ამას იგი შეტყობს უკვე მომავალ არჩევნებამდე ხელფასის კლების ფორმით, რაც მას მისცემს დაფიქსირების საშუალებას).

მაშასადამე, თუ არ დაწესდა საარჩევნო გადასახადი, არ იარსებებს თავისუფალი დეპუტატი. თუ არ იარსებებს თავისუფალი დეპუტატი, არ იარსებებს თავისუფალი პარლამენტი. თუ არ იარსებებს თავისუფალი პარლამენტი, არ იარსებებს დემოკრატიული სახელმწიფო, რის დამტკიცებაც გვინდოდა.

თუ ჩვენ მართლა გვსურს ავაშენოთ ქართული დემოკრატიული სახელმწიფო, აუცილებელია რაც შეიძლება მოკლე ხანში გავათავისუფლოთ პარლამენტარები სახელმწიფოს ზედამხედველობისაგან, შემოვიღოთ საარჩევნო გადასახადი და აღვადგინოთ სახელმწიფო ხელისუფლების გაყოფის, ანუ კოორდინაციის კანონი. მხოლოდ და მხოლოდ ამ სამი პოლიტიკური საშუალების იმედი შეიძლება ვიქონიოთ მომავალში.

არსენ ბურჯალიანი,
ფილოსოფიის დოცენტი

მიწისძვრა: დროის მიხედვით მისი წინასწარმეტყველება ჯერჯერობით შეუძლებელია

ნათელმხილველის განსაცვიფრებელმა ახალმა ამბავმა — 15 იანვრიდან თებერვლის დამლევის ჩათვლით დასავლეთ საქართველოში ძლიერი მიწისძვრა უნდა მოხდესო, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თბილისში 13 იანვარს გამართულ კრებაზე დამსწრე მრავლისმხილველი დეპუტატებიც კი შეაძრწუნა.

აი რას ამბობენ მიწისძვრათა პროგნოზის შესახებ მეცნიერების ამ დარგის თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები:

ზურაბ შენგელაია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის საცდელ-მეთოდიკური გეოფიზიკური პარტიის უფროსი.

— ნათელმხილველის პროგნოზი მის მიერ მოყვანილ არგუმენტებთან ერთად დედამიწის შესახებ მეცნიერებათა სპეციალისტების თვალსაზრისით უსაფუძვლოა, — თქვა მეცნიერმა. — ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ კავკასიაში მიწისძვრის ძალა, და მით უმეტეს მისი მოხდენის ზუსტი დრო და ადგილი.

ოთარ ლურსმანაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი.

— ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზოგჯერ ფსიქოლოგიური ტრავმა ფიზიკურზე გაცილებით საშიშია. ამიტომ ისეთ საქმეს, როგორიცაა პროგნოზია, დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ, — თქვა სპეციალისტმა.

მთელ მსოფლიოში უკვე არაერთგზის სცადეს მიწისძვრათა დაპროგნოზება. ზოგიერთი წარმატებულიც კი აღმოჩნდა, თუ ეს შეიძლება ითქვას მიწისძვრის შესახებ. მაგრამ, როგორც ვფიქრობ, ეს პროგნოზები ჰუმანურ ექსპერიმენტს არ განეკუთვნება. აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ მეცნიერის პროგნოზი ასიდან მხოლოდ 99-ჯერ გამართლდება. განა ბევრი დარჩება ცოცხალი მკვლევრისათვის ამ „ბედნიერ“ დღემდე?..: არა, ჯერჯერობით შეუძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ თვით სავარაუდო მიწისძვრის ზუსტი დრო და ადგილიც კი.

კოტე ცხომელიძე,
საქინფორმის კორ.

თვალსაზრისი

ნუთუ არ გვეყო?

დღეს საქართველოს წინაშე ახალი ჰორიზონტები იშლება — როგორც იქნა მივაღწიეთ სანუკვარ დამოუკიდებლობას, მაგრამ ჯერჯერობით დამოუკიდებლად არავინ არა გვცნობს. ამ მიზნისათვის ჩვენ უამრავი სისხლი დავღვარეთ, რაც სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა. მაგრამ რომ გამოვფხიზლდეთ და სწორი გზით წავიდეთ, ამისათვის ჩვენი ცნობიერებიდან ზოგიერთი ბალასტი უნდა გადავყაროთ, რაც არცთუ ისე ადვილი იქნება.

ამ რამდენიმე კვირის წინ ყოფილმა ხელისუფლებამ თავისი ჩვეულებისამებრ მორიგი დეზინფორმაცია მიაწოდა ქართველ ხალხს, საზღვარგარეთმა დამოუკიდებელ ქვეყანად გვცნოო. ეს მიწოდებული იქნა დეზინფორმაციის სამსახურის ხელმძღვანელის თ. ქორიძის ნაცადი სტილით — ნახევარი სიმართლე, ნახევარი ტყუილი (აქვე დავძენ, რომ ეს სტილი ქორიძემ „ისესხა" ნაცისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრის გებელსისაგან).

სინამდვილე უბრალოა — ამერიკამ და ევროპული ქვეყნების გაერთიანებამ 12 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან 7 ოფიციალურად ცნეს იურიდიულად, ხოლო დანარჩენი 5 — მხოლოდ როგორც ფაქტობრივად არსებული, მათთან დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობის დაუმყარებლად. ეს ხუთი რესპუბლიკაა: თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და საქართველო! ამასთანავე, თუ სამ შუააზიურ რესპუბლიკას ბრალად ედება, რომ სოციალიზმის ბრეჟნევისეული მოდელი ხელუხლებელი დატოვეს, აზერბაიჯანსა და, განსაკუთრებით, საქართველოს ბრალად ედებათ ეროვნულ უმცირესობებთან არაცივილიზებული დამოკიდებულება. აზერბაიჯანს თავისი აღმოსავლური ორიენტაციით შეიძლება ეს სრულიად არ აწუხებდეს. ვინაიდან იგი თურქეთმა და ისლამურმა ქვეყნებმა უკვე ცნეს, მაგრამ სწორედ ჩვენ ვართ გამოკიდებული ვაკუუმში, როდესაც არც ევროპას ვუნდივართ, არც აზიასა და არც ამერიკას (აფრიკაზე ვერაფერს ვიტყვი).

იმისათვის, რომ ჩვენ იურიდიულად ვიყოთ ცნობილი როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ევროპამ და ამერიკამ სამი კონკრეტული მოთხოვნა წამოაყენეს; მათგან ორს ახალი ხელისუფლების პირობებში იმედია ადვილად შევასრულებთ, მაგრამ მესამე მოთხოვნის შესრულებას — ეროვნულ უმცირესობებთან დამოკიდებულების გაჯანსაღებას — ასე ადვილად ვერ შევძლებთ, რადგან ბოლშევიკების ბატონობის 70 წლის მანძილზე ქართველი ერის დიდი ნაწილის ცნობიერება მოიწამლა, რისი კულმინაციაც იყო გამსახურდიას ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმი!

ყველა პოლიტოლოგს აქვს ვიწრო სპეციალიზაცია. ჩემი სპეციალიზაცია ეროვნული ურთიერთობანია. აი სწორედ აქ მოხდა ჩემი და ბ-ნ ზ. გამსახურდიას გზების გადაჯვარედინება, ვინაიდან გამსახურდია იყო და არის ეთნოკონფლიქტების დიდოსტატი. გამსახურდიამ ძალაუფლებას მიაღწია ნაცადი ნაცისტური ლოზუნგით — შენ რომ ღარიბი და დაჩაგრული ხარ, ამაში დამნაშავე სხვა ეროვნების შენი მეზობელიაო! ჰიტლერი გერმანიაში ასეთად მხოლოდ ებრაელებს ასახელებდა, გამსახურდიამ კი „მტრებად" საქართველოში მცხოვრები ლამის ყოველი ეროვნება გამოგვიცხადა და შეეცადა კიდეც ახუთებად გაეხადა ისინი! ასეთი ლოზუნგი მდიდარ ქვეყანაში ვერ იმუშავებს, მაგრამ ბოლშევიკების მიერ არა მარტო მატერიალურად, არამედ სულიერადაც განაგებულ საქართველოში მას ნოყიერი ნიადაგი დახვდა, სამწუხაროდ, არამარტო ღარიბ, გაუთვითცნობიერებელ მასებში.

ბ-ნი ზვიად გამსახურდია ყოველთვის ამტკიცებდა, ეთნოკონფლიქტები ცენტრის მოწყობილიაო. მე შემიძლია დავამტკიცო, რომ უკანასკნელი პერიოდის ეთნოკონფლიქტები გამსახურდიას მიერ არის ორგანიზებული. მაგრამ ამ შემთხვევაში იქნებ იგი ერთხელ მაინც ამბობდა სიმართლეს და ორივე მართალი ვიყოთ?

მე არ შევეხები თითოეულ ეთნოკონფლიქტს. ეთნოკონფლიქტები ძალიან ბევრი იყო. შევეხები მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანს, თუმცა მკითხველმა თვითონ გაიხსენოს, თუ როგორ ქვების სროლით ყრიდა გამსახურდია კახეთიდან ლეკებს. რომლებიც ისედაც უკვე მიდიოდნენ უკან. ამის გამო იყო, რომ დაღესტნიდანაც გამოყარეს ქართველები და ჩვენი ორი ქვეყნის დამოკიდებულება მკვეთრად გაუარესდა. ან ვთქვათ 1989 წლის ზაფხულში გამსახურდიას ქცევა დმანისსა და მარნეულში. ამისი ძალიან ბევრი მოწმეები გვყავს.

გამსახურდიას ბატონობის პერიოდის მთავარი მოგონება იქნება ეთნოკონფლიქტი ოსებთან. უფრო მეტიც, ვიდრე ეს კონფლიქტი არ მოგვარდება, მსოფლიო ჩვენ არ მიგვიღებს თავისუფალ ქვეყანათა ოჯახში და ისევე ჰაერში გამოკიდებული დავრჩებით, როგორც ახლა ვართ. ამიტომ სრულიად აუცილებელია ამ კონფლიქტის სათავეების განხილვა, ვინაიდან დაღვრილი სისხლი პერსპექტივას აბუნდოვნებს.

ოსებთან კონფლიქტი ქართული საზოგადოებრიობისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. ამ კონფლიქტისათვის, — აფხაზებთან კონფლიქტისაგან განსხვავებით, — არავითარი სერიოზული მიზეზი არ არსებობდა.

ოსური სეპარატიზმი, რომელიც ენის პრობლემასთან დაკავშირებით ხელოვნურად იწეოდა წინ ცენტრის წახალისებით 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იან წლებში, ქართველების ძირითადი მასისათვის ამ რეგიონის გარეთ ფაქტობრივად უცნობი იყო. როცა დრო მოვიდა, ოსური სეპარატისტული ტენდენციების მოვლა ადვილად შეიძლებოდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ჭკვიანი ეროვნული პოლიტიკით, მაგრამ რომელიღაც ძალებს ეს არ აძლევდა ხელს და დაიწყო სერიოზული ეთნოკონფლიქტი.

იგი ქრონოლოგიურად იწყება უმნიშვნელო ფაქტით — 1989 წლის 31 მარტს გუდაუთის რაიონულ გაზეთში ვინმე ჩოჩიევის (რომელსაც მაშინ არავინ იცნობდა) აგრესიული ანტიქართული წერილის გამოქვეყნებით. ნორმალურ პირობებში ამ წერილს ვერავინ შეამჩნევდა.

მაგრამ ერთ კვირაში გათენდა 9 აპრილის ბნელი დილა, რომელმაც მთელი საქართველო გააერთიანა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. და სწორედ ეს არ აძლევდა ხელს გარკვეულ ძალებს. მათი ბრძანებით ეს ზემოხსენებული წერილი ქართულად ითარგმნა და დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში". მივაქციოთ ყურადღება თარიღს — 5 მაისი, ე. ი. 9 აპრილის შემდეგ ჯერ ერთი თვეც არ გასულა, დაღუპულებზე, რომელთაც მთელი საქართველო გლოვობდა, ორმოცი ჯერ არ არის გადახდილი. ყველა მოაზროვნე ადამიანი მიხვდება, რომ ეს იყო ელემენტარული პროვოკაცია ყურადღების სხვაგან გადასატანად.

არ ვიცი დამთხვევაა თუ არა, რომ სწორედ იმ დღეს თავისი სურვილით ჩამოდიოდა თბილისში უდიდესი მოაზროვნე — აკადემიკოსი სახაროვი, რათა ეხელმძღვანელა 9 აპრილის მოვლენათა გამოძიებისათვის. აბა წარმოვიდგინოთ, ამ კომისიის თავმჯდომარედ იგი რომ დარჩენილიყო, მისი ავტორიტეტით კომისია ბევრ უფრო ღრმა შედეგებს მიაღწევდა და ვინ იცის დამნაშავენიც დასჯილიყვნენ. მაგრამ სწორედ ეს ხელს არ აძლევდა გარკვეულ ძალებს: მათმა აგენტებმა სახაროვს შეურაცხყოფა მიაყენეს და, ფაქტობრივად, საქართველოდან გააძევეს. სწორედ ამის შემდეგ ჩაიქნია მან ხელი ჩვენზე. ხოლო ის ღვარძლი და ლაფი, რომელიც ქართული ოფიციალური პრესიდან იღვრებოდა სახაროვის წინააღმდეგ გამსახურდიას ბატონობის პერიოდში, მისსავე ავტორსა და, სამწუხაროდ, საქართველოს მიეწევა.

სხვათა შორის, იმდროინდელი სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ მაშინვე შეატყობინა „ლ.ს"-ს რედაქციას, რომ ჩოჩიევი ოსი ხალხის ნებას არ გამოხატავდა და ამიტომ სთხოვა ეს თემა ამოეწურათ, მაგრამ რედაქციამ ვიღაცის ბრძანებით გააგრძელა ანტიოსური კამპანია და თან როდის — 26 მაისისადმი მიძღვნილ ნომერში, ე. ი. ოსებთან კონფლიქტი მიმართული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

იმ დროს გამსახურდია თავის ჟურნალში „ქართვლის დედა" ბეჭდავს გასაოცრად შავრაზმულ ფსევდომეცნიერულ წერილს ოსების შესახებ, მაგრამ მისი ფართოდ გამოქვეყნება ჯერ კიდევ ნაადრევად იქნა ჩათვლილი — ქართული ინტელიგენცია ამისათვის ჯერ არ იყო მზად. მაგრამ სექტემბერში ნიადაგი მომზადებულად ჩაითვალა და ეს სტატია გადაიბეჭდა კვლავ „ლიტერატურულ საქართველოში", რომლის რედკოლეგიის წევრი ხდება გამსახურდია, მაგრამ რომელსაც იგი ფაქტობრივად განაგებდა (გავიხსენოთ ამ გაზეთში დაბეჭდილი თითქმის ყველა გამოჩენილი ადამიანის ლანძღვა-გინება, რაც გამსახურდიას გაბატონების შემდეგ ნორმა ხდება ყველა სხვა გაზეთებისათვის).

ამაზე მეტის გაკეთება მაშინ არ შეიძლებოდა, ვინაიდან ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მერაბ კოსტავა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამასაც მალე მოევლო. (აქ მინდა თემას გადავუხვიო — კენედის მკვლელობაზე უამრავი დაწერილა ქართულ პრესაში, მაგრამ ჩვენთვის უფრო ახლო და მნიშვნელოვან ამბავზე — მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძის დაღუპვაზე თითქმის არაფერი ვიცით. მაგალითად, რამდენმა იცის, რომ ის გამომძიებელი, რომელიც ამ საქმეს იძიებდა, მოკლულ იქნა... სამაჩაბლოში! ამის შემდეგ აღარავითარი გამოძიება არ ყოფილა).

მერაბ კოსტავას დაკრძალვიდან ერთი თვის თავზე გამსახურდია აწყობს თავის პირველ გრანდიოზულ პროვოკაციას — ცხინვალზე სვლას! უდიდესი უმრავლესობა, ვინც ამ სვლაში მონაწილეობდა, პატიოსანი ქართველი პატრიოტი იყო. მაგრამ გავიხსენოთ — ამ სვლამდე ხომ ჯერ არც ერთი წვეთი არც ქართული და არც ოსური სისხლი არ იყო დაღვრილი! ასე რომ, ეს კონფლიქტი უმართავი ხდება და სისხლისღვრა იწყება სწორედ ამ პროვოკაციის შემდეგ. მართალია სვლაში მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა მშვიდობიანად იყო განწყობილი, მაგრამ წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი პატარა პროვინციული ქალაქის მცხოვრებთა ადგილზე, როდესაც შენსკენ მოემართება ათეული ათასობით კაცი — ხომ შეიძლება იფიქრო, რომ შენს დასარბევად მოდიან ისინი?

ყველაფერ ამას ჯერ კიდევ ეშველებოდა მეორე დღეს, როდესაც მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ სამასი ქართველი ჩაატარებდა მიტინგს ცხინვალში და აუხსნიდა ოსებს, რომ ისინი სამტროდ არ იყვნენ მისული. გია ჭანტურია მზად იყო გაძღოლოდა ამ ჯგუფს მიტინგის ჩასატარებლად, მაგრამ გამსახურდიამ ისინი არ გაუშვა და თქვა თავისი ცნობილი ფრაზა „საშიშია, ოსი ბიჭები დაგვხოცავენო", რაზეც იქ დამსწრე ერთ-ერთმა ახალგაზრდამ თქვა, ოსი ბიჭების თუ ასე გეშინოდა, მაშინ ამდენ ხალხს გონებას რად ურევდაო. და ამდენი ხალხი უკან გამობრუნდა ისე, რომ ოსებს არ აუხსნეს, რომ ისინი სამშვიდობოდ იყვნენ მისული. ეს ომიც, ფაქტობრივად იმ დღიდან იწყება.

მაგრამ გამსახურდიას გამოუცხადებელი ომი ხელს არ აძლევდა; ამიტომ როგორც კი სრულ იურიდიულ ბატონობას მოიპოვებს საქართველოზე (მანამდე იგი თებერვლიდან უკვე იყო საქართველოს არაოფიციალური გამგებელი), მაშინვე პარლამენტის პირველივე აქტად იღებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას, თითქოს მას სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმე არ ჰქონოდეს (მაგალითად, მიწის მისი პატრონისათვის, გლეხისათვის დაბრუნება, დემოკრატიული სტრუქტურების შექმნა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, საქართველოს მოქალაქეობის დადგენა, — რომელი ერთი დავასახელო).

ამ კონფლიქტის ერთი თვის თავზე ხდება გაუგონარი ამბავი, რომელზეც ქართულმა საზოგადოებრიობამ არაფერი იცის, ბევრს გაუჭირდება კიდეც დაჯერება, თუმცა ეს ფაქტი მთელმა მსოფლიომ იცის და ამიტომაც შეგვაქცია ზურგი: ქართველ ხელისუფლებასთან თეთრი დროშით ხელში მოსალაპარაკებლად მოვიდა ოსების ლიდერი ტორეზ კულუმბეგოვი, მოვიდა ერთი მისიით — რომ ეს ომი შეწყვეტილიყო და მეტი სისხლი აღარ დაღვრილიყო. მაგრამ სწორედ ეს ხელს არ აძლევდა გამსახურდიას — მისი ბრძანებით მოსალაპარაკებლად მოსული მოწინააღმდეგის ლიდერი დააპატიმრეს და ყოველგვარი სასამართლოს გარეშე მთელი წელი ჰყავდა სუკის ციხეში, ვიდრე ჩვენმა ეროვნულმა გვარდიამ არ გაათავისუფლა იგი სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად. მთელი მსოფლიოსათვის ტორეზ კულუმბეგოვი იყო საქართველოს პოლიტპატიმარი №1, რაც ტელევიზიით ამ რამდენიმე დღის წინ დაადასტურა ბ-მა ჯაბა იოსელიანმა.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი მომენტი — იანვარში ჩემთან კონსულტაციის შემდეგ ლონდონიდან საქართველოში ჩამოვიდა ერთ-ერთი სატელევიზიო კომპანიის გადამღები ჯგუფი. მათ ობიექტური ფილმი გადაიღეს სამაჩაბლოში და საკმაოდ შავ ფერებში აღწერეს ის „ბოევიკთა" ქმედება. მაგრამ ლონდონში დაბრუნების მეორე დღეს რეჟისორმა დამირეკა და მითხრა „მოსალაპარაკებლად მისული კულუმბეგოვი დააპატიმრეს! ეს რა ხალხი ყოფილხართ ქართველები? რა, მაინცდამაინც სისხლისღვრა გინდათო?" ამის შემდეგ მან ქართველებისადმი სიმპატიით განწყობილი ეს ფილმი აღარ აჩვენა. კარგი იქნება გავიხსენოთ, რომ სწორედ ამ რეჟისორმა გადაიღო თავის დროზე შესანიშნავი ფილმი 9 აპრილის შესახებ, რომლითაც დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი დააყენა ჩვენს მხარეზე.

ამ ერთი წლის მანძილზე იმდენი სისხლი დაიღვარა, იმდენი სოფელი დაიწვა, იმდენი ხალხი დარჩა უსახლკაროდ, ისეთი ურთიერთსიძულვილი დაითესა, რომ შეიძლება მთელი თაობაც კი დაგვჭირდეს ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად. არ შეიძლება გული არ მოგიკვდეს, როდესაც ლტოლვილების ტანჯვას ხედავ, მით უმეტეს, ყველაფერი ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა.

მე მინდა დავამთავრო შედარებით მაჟორული ნოტით — ეს რეჟიმი დროზე დაემხო, თორემ კიდევ მრავალ მძიმე ეთნოკონფლიქტს გვპირდებოდნენ, რომელთა შედეგების გამოსწორება არც ისე ადვილი იქნებოდა. მაგალითად, მე, ისევე როგორც ინტელიგენციის ფართო წრე, განსაკუთრებით აღმაშფოთა ოქტომბერ-ნოემბერში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილმა ორმა უზარმაზარმა ანტისემიტურმა სტატიამ, რომელსაც ვინმე გაბაშვილი აწერდა ხელს. ამ ტიპის სტატია ჰიტლერული გერმანიის დაცემის შემდეგ აღარავის აღარ დაუბეჭდავს. მასში ლაპარაკია, არც მეტი და არც ნაკლები, ებრაელთა რაღაც შეთქმულების შესახებ მსოფლიო ბატონობის ჩასაგდებად. აქვე მან ეს „შეთქმულება" აურია სიონიზმის იდეოლოგიაში, ე. ი. „აღთქმულ მიწაზე" დაბრუნების სურვილში, რითაც არალოგიკურობა და ტიპური საბჭოთა აზროვნება გვიჩვენა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ ისრაელის მმართველ წრეებში რა შეშფოთებას გამოიწვევდა ეს ორი სტატია და რამდენი დრო დაგვჭირდება დათესილი გესლის ამოსაძირკვავად. საბედნიეროდ სხვადასხვა მიზეზების გამო ანტისემიტიზმი ქართველი ადამიანისათვის ნამდვილად უცხო აღმოჩნდა, მაგრამ ის ანტიოსური განწყობილება, რომელიც წინა რეჟიმმა მთელი თავისი ენერგიით დათესა, გაცილებით უფრო ძნელი იქნება განეიტრალდეს — ამას შეიძლება მთელი თაობაც კი დასჭირდეს.

ჩვენ ვნახეთ, რომ „ბატონზე" ოცნებით და „ცუდი ბატონის" წახალისებით ჩვენ, ქართველებსაც თურმე შეგვიძლია ჩავიდინოთ დიდი ზომის უზნეობა. და აი, სწორედ ახლა გამოჩნდება — დაგვრჩა თუ არა ჩვენ ზნეობის ნორმების გაგება და მოვინანიებთ თუ არა თუნდაც ამ ბოლო წლის მანძილზე ჩადენილს. ახალ საქართველოს კი მხოლოდ ახალი აზროვნება სჭირდება — ძველი აზროვნების შედეგებს ჩვენ, სამწუხაროდ, კიდევ დიდხანს ვიხილავთ დედაქალაქის ცენტრში რუსთაველის პროსპექტზე!

რამაზ კლიმიაშვილი.

დარბევამდე ერთი წლით ადრე

საქართველოს ისტორიამ ბევრი ფაქტი აღნუსხა იმის შესახებ, თუ როგორ აყრიდა ხოლმე მტერი ქართველ მოსახლეობას თავისი სამკვიდრო მამულიდან და აიძულებდა შორს გასცლოდა მას, მაგრამ ქართველთა ცხოვრებაში პირველად მოხდა ისეთი ამბავი, როდესაც შემოხიზნულმა ოსებმა ქართული მიწა-წყლიდან — ცხინვალიდან აყარეს და ლტოლვილებად აქციეს ქართველები, თანაც დიდი სისასტიკით, გაუგონარი სიველურით.

რატომ მოხდა ყველაფერი ეს? რამ გაამხეცა მანამდე თითქოსდა თვინიერი „ოსი მოძმენი"? ვინ მიატოვა ასე უნუგეშოდ ქართველები გასაჭირში? ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ 1989 წლის ოქტომბრის დამლევს ცხინვალის ახლოს მდებარე სოფელ ერედვში გამართულ მიტინგზე ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, — ერთ თვეში ამოვალთ და ოსებს ზედ გადავუვლითო. თუ როგორ „გადაუარა" ოსებს იმავე წლის 12 ნოემბერს ცხინვალის მისადგომებიდან დაბრუნებულმა 15 ათასმა ცუდამოჭუებულმა ქართველმა, — ეს ყველამ კარგად იცის.

1989 წლის 8 დეკემბრის „რეფერენდუმმა" ცხინვალში დასტური მისცა მანამდე, 20 სექტემბერს ავტონომიური ოლქის რესპუბლიკად გამოცხადებას. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ასეთ ვითარებაში 12 დეკემბერს ცხინვალის მთავარ ქუჩებში (სტალინის და ლენინის) შეიარაღებული ქართველი ბიჭების (ურიდია, ზარდიაშვილი, გუნდიშვილი და სხვ.) ჩასვლა და ამოსვლა „ჟიგულით" საბედისწერო „ექსპერიმენტი" გამოდგა — ორი ადამიანი დაიღუპა და ორი დაიჭრა. მანამდე კი, დეკემბრის პირველ რიცხვებში, ცხინვალის მკვიდრთა ერთმა ნაწილმა დეპუტატ ი. ბურჯაძის ხელით წერილი გაუგზავნა ზ. გამსახურდიას და ვ. ადამიას იმის შესახებ, თუ როგორი ღონისძიებების განხორციელება იქნებოდა საჭირო, რომ არ მომხდარიყო რაიმე უბედურება და არ დატრიალებულიყო ფერღანის მსგავსი ტრაგედია ცხინვალში; მაგრამ ერთი კვირის ლოდინის შემდეგ მოვიდა ზეპირი პასუხი, ჯერ ცხინვალისთვის არ გვცალიაო. მაშ, რისთვის ეცალათ დიდგულა ხელისუფალთ, პირადად კი ზ. გამსახურდიას, რომლის მზესაც მისი ზეობის ბოლომდე ფიცულობდა გულუბრყვილო ცხინვალელი ქართველობა?! როგორ მოიცალა უზენაესმა საბჭომ ორიოდ დღეში მას შემდეგ საჩქაროდ გაეუქმებინა დიდი ხნის წინათ გასაუქმებელი ოსური ოლქი?

მოწმე თ. გუნდიშვილი ტ. კულუმბეგოვის პროცესზე სასამართლოს მოახსენებდა, საავადმყოფოში მიყვანილ დაჭრილ ქართველ ბიჭებს, მათ შორის ჩემს ბიძაშვილსაც, გაცოფებული ოსების ბრბო, რომელიც საავადმყოფოში შეჭრას ლამობდა, სიკვდილით ემუქრებოდაო. ამის გამო იგი ჩასულა ცხინვალის მიმდებარე სოფელ მეღვრეკისში მოქმედ ქართველ მებრძოლთა შტაბში, სადაც დახვედრიან თ. კიტოვანი და ჯ. იოსელიანი, რომლებსაც უთქვამთ, დაჭრილებს სამხედროები გამოიყვანენ საავადმყოფოდანო. მართლაც, იმ ღამეს შეიარაღებულ არმიელებს დაუცავთ დაჭრილები, რომლებიც დილით ქ. გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

იმ ხანად ცხინვალის ქართველობის დაცვის საქმეს ხელმძღვანელობდნენ: მერაბ მინდიაშვილი, ვაჟა ადამია, ჯაბა იოსელიანი, თამაზ გველესიანი, თენგიზ კიტოვანი, ავთანდილ მარგიანი (იმ დროს გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი) და სხვები, მაგრამ ძალები აშკარად უთანაბრო იყო და ქ. ცხინვალში მცხოვრებ ქართველებს დიდი განსაცდელი ელოდათ.

ამ დროს 1989 წლის 22 დეკემბერს, ქ. თბილისში შეიკრიბა ცხინვალის ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლობა, 400-მდე კაცი. შეკრებაზე გადაწყდა, რომ კატეგორიული მოთხოვნები წარედგინათ საქართველოს ხელისუფლებისათვის, რათა დასახულიყო გადაუდებელი რადიკალური ღონისძიებები ცხინვალის რეგიონის ქართველთა კრიტიკული მდგომარეობიდან ხსნისათვის.

ხელისუფლებას ეცნობა, რომ „ქ. ცხინვალიდან მოსული ცნობებით და იქ შექმნილი სავალალო სიტუაციის თვითმხილველთა აზრით, მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ აუტანელი ხდება ის მორალური და ფიზიკური დაწოლა და შეურაცხყოფა ოსების მხრივ, რასაც უკანასკნელი მოთმინებით იტანს იქ მცხოვრები ქართველი ხალხი; არ იგრძნობა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაავებული ოსი მოსახლეობისაგან ქართველთა დაცვის ნიშანწყალიც კი, თითქმის ყოველ ქუჩაზე დგანან ხელკეტებიანი ოსები და ელოდებიან ქართველის გამოვლას, რათა ფიზიკურად გაუსწორდნენ მას. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა 8 ივნისის ქუჩაზე, წითელ საყდართან ქართველი ახალგაზრდის სიკვდილით დამთავრდა. ამ ბოლო ხანებში დაიწყო ქართველი მოქალაქეებისა და მათი ბინების ჩხრეკა-ძარცვა, აფთიაქისა და სხვა დაწესებულებების, მათ შორის სკოლა-საბავშვო ბაღების, რბევა".

შემდეგ მოყვანილია ფაქტები, როცა ოსმა ექსტრემისტებმა აიძულეს ქართველი დედა-შვილი კეკოშვილები ღორის სალაფავი ეჭამათ, ფეხშველაშვილების სახლში მათ დაუკლეს გოჭები და „სისხლით მოურწყეს ბინა, თან გაიძახოდნენ, რომ ასე მორწყავენ ქართველების სისხლით ცხინვალს, თუ ისინი აქედან არ გადაბარგდებიან. ასევე აღშფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ქართველებს ერეკებიან სამსახურიდან... ცხინვალში დათარეშობენ ჯგუფები უნომრო მანქანებით და ქართველებს აჩერებენ, ჩხრეკავენ, მიჰყავთ ე. წ. „შტაბში". იქ კი სრულიად უმიზეზოდ აყენებენ ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფას, აიძულებენ დატოვონ ქალაქი".

აქვე აღნიშნულ იქნა, რომ დაუშვებელია გენერალ ცაგოლოვის მისია „სამხრეთ ოსეთში", კვაისიდან ხდება დიდძალი ასაფეთქებელი მასალის შემოტანა ცხინვალში, მზადდება ხელყუმბარები. ელექტროვიბრაციული მანქანებისა და მექანიკური ქარხნები დღედაღამ მუშაობენ ისე, რომ იქ ქართველ მუშებს არ აკარებენ ახლოს, რაც ეჭვს იწვევს, რომ მზადდება რკინის ხელკეტები და სხვა საბრძოლო იარაღი. ოსი მოსახლეობა უშურველად აგროვებს ფულს იარაღის შესაძენად და აშკარაა, რომ ემზადება ქართველ მოქალაქეთა წინააღმდეგ ვანდალიზმისათვის. საერთოდ, ცხინვალში მიმდინარე პროცესებს არ ეძლევა სათანადო შეფასება ხელისუფლების მიერ. „მოთხოვნის" 17-ე მუხლში მკაცრი შეფასება ეძლეოდა ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებას და ამის გამო საჭიროდ იყო მიჩნეული გადამჭრელი ღონისძიებები მის აღსაკვეთად.

„საბოლოოდ, — აღნიშნული იყო ამ დოკუმენტში, — ერთხელ კიდევ კატეგორიულად მოვითხოვთ ხელისუფლებისაგან, რომ გამონახულ იქნეს ქ. ცხინვალში უკიდურესად შევიწროებულ ქართველთა ცხოვრების ნორმალიზაციის გზები და უზრუნველყოფილ იქნეს მათი უშიშარი ცხოვრება უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი მოსახლეობა თვითონ გამონახავს ამ მდგომარეობიდან გამოსავალს და მოსალოდნელი სავალალო შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს ხელისუფლებას".

„მოთხოვნას" ხელი მოაწერა დამსწრეთაგან 202-მა პირმა, მათ შორის მწერალმა მ. ელიოზიშვილმა, დოცენტმა ტ. ტურაშვილმა, პროფესორმა ტ. სართანიამ, ისტორიკოსმა ა. გოგიაშვილმა, ინჟინერმა ნ. ცერაძემ და მასთან ერთად შვილმა ცერაძემ, თერთმეტმა მეშველდიშვილმა, პოეტმა მზია ხეთაგურმა, ამ შეკრების ერთ-ერთმა მოთავემ გიული დანელიამ, დიანა მაჩაბელმა და სხვ. ამავე შეხვედრაზე გამოცხადდა ივ. მაჩაბლის საზოგადოების შექმნის ამბავი. მის თავმჯდომარედ დასახელებულ იქნა პროფესორი გ. შარაძე.

რესპუბლიკის ხელისუფლება დროულად გამოეხმაურა ამ დოკუმენტს. მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჭითანავამ შინაგან საქმეთა მინისტრ შ. გორგოძესთან ერთად კიდევ უფრო დააზუსტა ოფიციალური თუ არაოფიციალური ცნობებით, თუ რა ვითარება იყო ცხინვალში, და ცხინვალის ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს აღუთქვა, რომ მიიღებდნენ სათანადო ზომებს. მართლაც ცხინვალში გაიგზავნა მილიციის განსაზღვრული კონტინგენტი და დაწესდა სადღეღამისო პატრულირება ქუჩებში, ამოღებული იქნა იარაღი და ფეთქებადი მასალები ოსი ექსტრემისტების სამალავებიდან, გაძევებულ იქნა ცხინვალიდან მოსკოვში არამკითხე გენერალი კიმ ცაგოლოვი, იზოლირებულ იქნენ ცხინვალში ოს ექსტრემისტთა მოთავეები და ცხოვრება სულ მალე ჩადგა ნორმალურ კალაპოტში.

ამ ბოლო ხანს გამოირკვა, რომ ის, რაც მოხდა ცხინვალში 1991 წლის შობა დღეს, ოს ექსტრემისტებს ერთი წლით ადრე განუზრახავთ. მაგრამ საზოგადოებამ და ხელისუფლებამ დროზე აღკვეთეს მოსალოდნელი საფრთხე, რაც ვერ მოახერხა ახალმა ხელისუფლებამ, პირიქით, მან კიდევ უფრო დაძაბა და გაამწვავა სიტუაცია ცხინვალში, რასაც შედეგად მოჰყვა დიდი სისხლისღვრა, ქართველი ხალხის უკიდურესი გაჭირვება, საკუთარი სამკვიდრო მამულიდან აყრა და ლტოლვილის გაურკვეველი, უნუგეშო მდგომარეობა, რასაც ჩვენ დღეს დიდი გულისტკივილით ვუყურებთ და ვერაფერი გვიღონია ლტოლვილთა საშველად.

გიორგი სარიშვილი

მტრედები დასავლეთისაკენ მიფრინავენ...

საქვეყნოდ ცნობილი ნახატი „მშვიდობის მტრედი", რომელიც 1947 წელს არის შესრულებული, მშვიდობისათვის მოძრაობის სიმბოლო გახდა.

მისი ავტორია გენიალური ფრანგი მხატვარი პაბლო პიკასო.

სიმბოლურია, რომ სწორედ მტრედი იქცა მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ. მხატვარმა მშვიდობის თავისებურ ჰიმნად აქცია ფრინველი, რომელიც ცნობილია თავისი უწყინარობით.

მტრედს აქვს შესანიშნავი თვისება. იგი უბრუნდება თავის მიტოვებულ ბუდეს. მას იყენებენ ომის დროს წერილების გასაგზავნად. ბარათს ათავსებენ მსუბუქი ლითონის პატარა მილში, რომელსაც მტრედს ფეხზე შეაბამენ და ისინი, ომის დროს გაფანტულნი, კვლავ უბრუნდებიან ძველ ადგილებს. ვინ იცის, რამდენი მტრედი დაღუპულა ამ ამოცანის შესრულების დროს. ეს არავის აღუნუსხავს.

მაგონდება: დიდი ხნის წინათ ვესწრებოდი ერთ ღონისძიებას ოჩამჩირეში. სტადიონის მწვანე მინდორზე გაკეთებულ სტენდს, რომელსაც ამშვენებდა თეთრი მტრედის დიდი სურათი, სირბილით მიუახლოვდა ორი პატარა ბიჭუნა. მათ სურათთან უბიდან ამოიღეს და ერთდროულად ცაში აიფრინეს თეთრი მტრედები.

შეკითხვაზე, ვინ ხართ-მეთქი, ერთმა მიპასუხა: ეს ჩემი მეგობარია — ქართველი, მე აფხაზი ვარ.

მეორემ დაუმატა: ჩვენ პირველკლასელები ვართ, საერთო სამტრედე გვაქვს. სკოლის შემდეგ ერთად ვუვლით მტრედებს.

კვლავ შევეკითხე, თუ ეჩხუბებით-მეთქი ერთმანეთს.

ორივემ ერთბაშად თქვა. ზოგჯერ, მაგრამ მალე ვივიწყებთ წყენას.

ცამდე სწორი სიტყვებია. მათ იციან ბოლომდე მეგობრობა. გაბუტვაც იციან, მაგრამ მალე ივიწყებენ. უნდა ვისწავლოთ მათგან გაბუტვის მალე დავიწყება.

მაგონდება დიდი ამერიკელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჯონ სტეინბეკის თბილისში ყოფნა, როდესაც იგი ესწრებოდა ფეხბურთის მატჩს. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თბილისისა და კიევის დინამოელები. ეს იყო 1947 წელს.

და მწერალი დაწერს თავის წიგნში ასეთ სტრიქონებს: „ეს იყო ულამაზესი, სწრაფი და მძაფრი ფეხბურთი უდიდეს სტადიონზე. სულ ცოტა 40 ათასამდე მაყურებელი ესწრებოდა. ხალხის რეაგირება ემოციური იყო, რადგანაც თამაში ამ ორ კლუბს შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. თამაში, მართალია, სწრაფი და ზუსტი იყო, ხოლო შეჯიბრება მძაფრი და შეუპოვარი, არავითარი შეკამათება და ჩხუბი არ ყოფილა. მთელი მატჩის განმავლობაში მოხდა მხოლოდ ერთადერთი შეპასუხება.

თამაშის შედეგი იყო ფრე: ორით ორი და როგორც კი თამაში დამთავრდა, სტადიონზე ორი მტრედი აფრინეს.

საქართველოში ძველთაგანვე ნებისმიერი შეჯიბრების შემთხვევაში თეთრ მტრედებს უშვებენ, ხოლო წაგების შემთხვევაში შავ მტრედებს.

ამ მტრედებს ამბავი ჩააქვთ საქართველოს სხვა ქალაქებში. ამ დღეს კი, ვინაიდან თამაში ფრედ დამთავრდა, ცაში შავი მტრედიც აფრინეს, თეთრი და შავი მტრედები სტადიონიდან შორს, შორს გაფრინდნენ".

და ყველაფერი დარჩა ლამაზ მოგონებად.

ავადმყოფობის გამო მხოლოდ ორჯერ მივედი რუსთაველის პროსპექტზე. მახლობლად ქალიშვილები და შვილიშვილები იცრემლებოდნენ. მე, 67 წლის პაპა, და შვილიშვილი, პირველკლასელი ოთარ იოსელიანი, რადიოს ვუსმენდით და გვესმოდა სროლა; ავტომატების ჯერის და ზარბაზნების ხმა. პატარა ოთარს თავზე მუყაოს მუზარადი დაეხურა და ხელში სათამაშო დამბაჩა აეღო, ხოლო მამამისი ქირურგი, ამ დროს პირველ საავადმყოფოში მამაც ექიმებსა და დიდებულ ექთნებთან ერთად ეხმარებოდა დაჭრილებს.

ცოტა ხნის წინათ შვილიშვილთან ერთად წავედით რუსთაველის პროსპექტზე. პატარა გაფაციცებით ათვალიერებდა გაპარტახებულ რუსთაველს. მან გაიხსენა ლამაზი ქუჩა, როდესაც იგი დამყავდა ლაღიძის წყლის დასალევად...

დაიღვარა ზღვა სისხლი და ზღვა ცრემლი.

და კვლავ დაძაბული მდგომარეობაა საქართველოში.

მე აჭარაში, ბათუმში დაბადებულს და გაზრდილს, ყველაზე ბევრი მეგობარი აქ მყავს და შემდეგ ზუგდიდსა და აფხაზეთში. იქ ხშირად მიხდებოდა ჩასვლა სამსახურებრივი მოვალეობის გამო, იქ ცხოვრობენ მამაცი ადამიანები, რომლებმაც თუ გიმეგობრეს, არ გიღალატებენ არასოდეს, მაშინაც, როდესაც გიწევს ბეწვის ხიდზე გასვლა.

მაგონდება, ცოტა ხნის წინათ ზუგდიდში ვიყავი, ჩემმა ერთმა ძველმა მეგობარმა ორი საფოსტო თეთრი მტრედი მაჩუქა შვილიშვილისათვის. თბილისში ორივე თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით და ვუვლიდით მათ.

ამ დღეებში თავისუფლების მოედანზე წავედით. პატარა წერილი მივამაგრეთ მტრედს: წერილი სიყვარულის, წერილი ძმობის, წერილი მშვიდობის.

კმაყოფილი, ვბრუნდებოდით შინ, ვბრუნდებოდით ცარიელი გალიით, მაგრამ აღსავსენი დიდი იმედით და გულწრფელი რწმენით.

და ახლაც ყურში ჩამჩურჩულებს შვილიშვილის სიტყვები:

— როდის მიფრინდება?

— ხომ მიფრინდება?

მიფრინდება, აუცილებლად მიფრინდება, იმედით ცოცხლობს ყოველი ადამიანი.

ფილიპე მახარაძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ძმათა განხეთქილებამ და ძალთა დაპირისპირებამ ტრაგიკულ შედეგებამდე მიგვიყვანა, აუნაზღაურებელ სისხლისღვრას მოჰყვა მატერიალური და ზნეობრივი ზარალი, შეძრკა სრულიად საქართველო. ახლა ერთადერთი გზა ისაა, რომ გონს მოვეგოთ, ხმალი ქარქაშში ჩავაგდოთ და მთელი სიგრძე-სიგანით შევიგრძნოთ თავს დატეხილი უბედურების სიმძიმე, ერთად მოვინანიოთ და ერთად ვუშველოთ დაჭრილ საქართველოს. სურათზე ხედავთ პრეზიდენტის ყოფილ გვარდიელებს დაკითხვის დროს.

მიხეილ კიკვაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მხცოვანი მეცნიერის პატივსაცემად

გასული საუკუნიდან მოყოლებული, ქართული მოწინავე საზოგადოების სახელოვანი წარმომადგენლები უდიდეს ინტერესს იჩენდნენ უძველესი ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლთა აღმოჩენა-შესწავლის, მათი შეგროვებისა და დაცვისადმი, XX საუკუნეში, საქართველოს სიძველეებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა და ქართული საზოგადოებრიობის დიდი ზრუნვის საგანი გახდა. ქართული ისტორიული ძეგლების შესწავლის საქმეს დიდი ამაგი დასდო უხუცესმა მეცნიერმა არქეოლოგმა ვახტანგ ჯაფარიძემ, რომელიც ქართული მეცნიერებისა და კულტურის უდიდეს კორიფეებთან — ივანე ჯავახიშვილთან, სიმონ ჯანაშიასთან, ნიკოლოზ ბერძენიშვილთან, გიორგი ჩუბინაშვილთან და სხვებთან ერთად მოღვაწეობდა. ვახტანგ ჯაფარიძის სახელი, მჭიდროდ არის დაკავშირებული დღეს მთელ მსოფლიოში ცნობილი დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიურ შესწავლასთან.

ძველ საქართველოში დმანისი ქვემო ქართლის ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდთან არის დაკავშირებული დმანისის შემდგომი აყვავება-განვითარება. დმანისის უძველესმა ისტორიულმა მნიშვნელობამ განაპირობა მისი ნაქალაქარით ქართველ არქეოლოგთა ესოდენ დიდი დაინტერესება, 1936 წლიდან კი იწყება ამ ტერიტორიების არქეოლოგიური შესწავლა, რომლის თაოსანიც იყო ივანე ჯავახიშვილი. დმანისის პირველ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა განსაკუთრებული ნიჭითა და მეცნიერული ალღოთი დაჯილდოვებული ახალგაზრდა ისტორიკოსი ლევან მუსხელიშვილი, რომელიც სრულიად ახალგაზრდა ჩაუდგა სათავეში ესოდენ რთულ საქმეს და წარმატებითაც გაართვა თავი. სწორედ ამ სახელოვანი მეცნიერის გვერდით იღვწოდა ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე. ლევან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარე დმანისის მიდამოების მეცნიერული შესწავლა გახლდათ ვახტანგ ჯაფარიძის საუკეთესო სკოლა არქეოლოგიაში. იგი ამ კოლექტივის ერთ-ერთი სრულიად ახალგაზრდა წევრი იყო. დმანისის პირველმა ექსპედიციამ 1936-1937 წლების განმავლობაში იმუშავა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დმანისის პირველმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მყარი საფუძველი ჩაუყარა შუა საუკუნეების ქართულ არქეოლოგიას.

დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამუშაოთა მეორე ეტაპი შედარებით მოგვიანებით, 1960 წელს განაახლა. ამჟამად არქეოლოგიურ სამუშაოებს უძღვებოდა პირველი ექსპედიციის მონაწილე ვახტანგ ჯაფარიძე, რომლის დაბადების 80 წლისთავის იუბილეს აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი და სრულიად საქართველოს გიორგი შარვაშიძის საზოგადოება. ბატონი ვახტანგის სახელთან არის დაკავშირებული დიდი მნიშვნელობის არქეოლოგიური აღმოჩენები დმანისის ნაქალაქარში, რომელთაც გაამდიდრეს ქართული ისტორიული მეცნიერება.

უკანასკნელ წლებში ექსპედიციამ შეისწავლა არა მარტო შუა საუკუნეების ნივთიერი ძეგლები, არამედ ქვის ხანის მრავალრიცხოვანი მატერიალური კულტურის ნიმუშებიც. ამით იყო განპირობებული, რომ 1983 წელს, დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან ჩამოყალიბდა ქვის ხანის შემსწავლელი რაზმი, ქართველ არქეოლოგთა წარმატებებმა უცხოელ მეცნიერთა ყურადღება მიიპყრეს. დმანისით დაინტერესდნენ ქვის ხანის ცნობილი გერმანელი სპეციალისტი გერჰარდ ბოსინსკი და მისი კოლეგები. ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ქართველმა და გერმანელმა არქეოლოგებმა გადაწყვიტეს ერთობლივი ექსპედიციის მოწყობა. 1991 წლის აგვისტოდან დმანისის ერთობლივ ექსპედიციაში მონაწილეობენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი და გერმანიის რომაულ-გერმანული მუზეუმის პალეოლითური კვლევის ცენტრი. ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელი იყო ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე. ექსპედიციის ინტენსიური მუშაობის შედეგად, დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა უნიკალური არქეოლოგიური ძეგლები, რომლებსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. ამის მაგალითია 1991 წლის 24 სექტემბერს დმანისში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის ქვედა ყბა.

დმანისის სენსაციურმა აღმოჩენამ, თავისი სიძველიდან გამომდინარე (რომელიც ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით სულ ცოტა 800 ათას-1 მილიონი წლისაა) მეცნიერებაში ახლებურად დასვა ევრაზიაში ადამიანის განსახლების დროისა და პრობლემების საკითხი. აქედან გამომდინარე, დმანისის არქეოლოგიურ მონაპოვარს მსოფლიო მნიშვნელობა ენიჭება. და რა გასაკვირველია, თუ ასეთი მნიშვნელოვანი მეცნიერული ექსპედიციის ხელმძღვანელის, ამაგდარი მეცნიერის ვახტანგ ჯაფარიძის საიუბილეო საღამო არაჩვეულებრივ და განსაკუთრებულ ვითარებაში აღინიშნა. ამ გულთბილ, გულისხმიერ საღამოზე შეკრებილი საზოგადოებრიობის შეხვედრა ერთობ საქმიანი და კონკრეტული იყო. სხდომას უძღვებოდა მსოფლიოში აღიარებული ძველი ისტორიის მკვლევარი აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი. მან აღნიშნა ბატონი ვახტანგის დიდი წვლილი არა მარტო ქართულ არქეოლოგიაში, არამედ ქართული ეთნოგრაფიის წინაშეც. ბატონ ვახტანგ ჯაფარიძისა და მისი კოლეგების მრავალწლიანი, დაუღალავი და შრომატევადი მუშაობის შედეგად რამდენიმე ტომად გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის პროგრამით შეგროვილი საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის უნიკალური ეთნოგრაფიული მასალები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის შესწავლაში.

სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა თვით ვახტანგ ჯაფარიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას დაწვრილებით გააცნო დმანისის არქეოლოგიური გათხრების ისტორია და მისი მუშაობის შედეგები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დმანისის ნაქალაქარი საქართველოს ისტორიის ნაწილია, რომელშიც აირეკლა საქართველოს ისტორიული ცხოვრება.

საღამოზე ნათლად გამოიკვეთა ვახტანგ ჯაფარიძის დიდი დამსახურება და ღვაწლი ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე, რომლის ირგვლივაც ისაუბრეს ცნობილმა ქართველმა სწავლულებმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა ჯულიეტა რუხაძემ, აკაკი კაცაძემ და სხვებმა. სპეციალისტთა გამოსვლებში იმდენად მკაფიოდ გამოიკვეთა ბატონ ვახტანგ ჯაფარიძის დამსახურება ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე, რომ ერთხმად იქნა მიღებული ბატონ აკაკი კაცაძის წინადადება — აღიძრას შუამდგომლობა სათანადო სამეცნიერო დაწესებულების წინაშე ვახტანგ ჯაფარიძისათვის დაცვის გარეშე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების შესახებ. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ამ საკითხს უახლოეს დროში განიხილავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე უშურველად, მოკრძალებულად და კეთილსინდისიერად ემსახურება ქართულ ისტორიულ მეცნიერებას. მისმა პრაქტიკულმა მოღვაწეობამ და სამეცნიერო გამოკვლევებმა ხელი შეუწყო ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეს. ამიტომ, გიორგი შარვაშიძის საზოგადოებაში მიაჩნიათ, რომ ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე მთელი თავისი მოღვაწეობის შედეგებით სამეცნიერო ხარისხთან ერთად სავსებით იმსახურებს პროფესორის წოდების მინიჭებასაც.

ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხსაც განიხილავენ.

ქეთევან პავლიაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, გიორგი შარვაშიძის საზოგადოების წევრი.

აი ისტორია

ეროვნული მეობისა და იერსახის შესანარჩუნებლად

რუსეთის პოლიტიკა საქართველოში და ქართველი ინტელიგენცია XIX საუკუნის 40-50-იან წლებში

გეორგიევსკის ტრაქტატის თვითნებურად და ცალმხრივად დარღვევის შემდეგ ქართლ-კახეთის ხელში ჩაგდებამ რუსეთს გაუხსნა გზა კავკასიის მთლიანად დამორჩილებისა და აღმოსავლეთში შემდგომი ფართო ექსპანსიისათვის. ახლა მას ესაჭიროებოდა საქართველოში დამკვიდრებულიყო მყარად და შეექმნა მტკიცე დასაყრდენი ბაზა.

მართლაც, 1826-28 წლებში ირანთან და 1828-29 წლებში ოსმალეთთან მოგებული ომების შემდეგ, რუსეთმა ყურადღება გადაიტანა დაპყრობილი ტერიტორიების ათვისებაზე, რაც გულისხმობდა ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით იმპერიასთან საქართველოს მჭიდროდ შეზრდას, მის გადაქცევას რუსეთის შემადგენელ ნაწილად, შესაბამისად — ქართული ჯიშის გადაგვარებასა და გარუსებას. ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობდა, მაგრამ მათ შორის უმთავრესად მიაჩნდა საქართველოს კოლონიზაცია. საქართველოს დამორჩილებასა და ათვისებაში სწორედ უცხოტომელები უნდა გამხდარიყვნენ ერთ-ერთი გადამწყვეტი დასაყრდენი ძალა. 1818 წლიდან გეგმაზომიერად შეუდგნენ ქართულ მიწებზე გერმანელების, სომხების, ბერძნების, რუსებისა და სხვათა ჩამოსახლებას. მაგალითად, 50-იანი წლების ბოლოსათვის ამიერკავკასიაში უკვე აღირიცხებოდა 50 რუსული სოფელი და 10 რუსული სამხედრო დასახლება, ხოლო სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთში 1828 წლიდან ჩნდება უამრავი სომხური და ბერძნული სოფელი, რომლებიც წარმოიშვნენ თურქეთიდან სომხებისა და ბერძნების მრავალი ათასი ოჯახის შემოსახლების შედეგად.

დაიწყო ეკონომიკური ათვისების პროგრამების შედგენაც, რომელთა მიხედვით საქართველოს, მხოლოდ ნედლეული და სოფლის მეურნეობის პროდუქტები უნდა მიეწოდებინა რუსეთისთვის. მაგრამ ამ პროგრამებს არ ეწერა განხორციელება, რადგანაც იმჟამად თვითონ რუსეთი არ იყო ისე დაწინაურებული, რომ შეძლებოდა საქართველოს ფართო მასშტაბის ეკონომიკური ექსპლუატაცია.

გატარდა ამიერკავკასიის მმართველობის სისტემის რეფორმაც: შემოიღეს ახალი ადმინისტრაციული დანაწილება, მთავარმართებელი უფლებრივად გაუტოლეს რუსეთის გენერალ-გუბერნატორებს, მთლიანად განიდევნენ მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები მართვა-გამგეობაში მონაწილეობიდან, აკრძალეს სასამართლოებში ქართული კანონების (ვახტანგ VI-ის) გამოყენებაც. საქართველოში გამეფდა რუსული ბიუროკრატიზმი, განუკითხაობა, მოხელეთა თვითნებობა და ბოროტმოქმედება. კიდევ უფრო აუტანელი გახდა ეროვნული ჩაგვრა.

რეფორმების ანტიეროვნულმა და უხეშმა ხასიათმა, ეროვნული ჩაგვრის გაძლიერებამ. ქართველი მოსახლეობის საყოველთაო დრტვინვა და აღშფოთება გამოიწვია. დაიწყო აჯანყებები კახეთში, იმერეთში, მესხეთში, გურიაში.

ამავე დროს, გაჭიანურდა კავკასიის მთიანეთის დაპყრობის პროცესი. იმ დროს, როგორც ვ. ოგარკოვი წერდა, „შამილის წარმატებებმა ფართო ხასიათი მიიღო: მიურიდებმა ათობით რუსული გამაგრებული ადგილები ჩაიგდეს ხელში. გაანადგურეს გარნიზონები, ბევრი ჩვენს მიერ დამორჩილებული აული კვლავ შამილის ხელში გადავიდა... პერსპექტივა ჩვენს მფლობელობას კავკასიაში სრულ განადგურებას უქადდა“ (ვ. ოგარკოვი. ვორონცოვები.—ს.—პეტერბურგი: 1892, გვ. 87-88. რუსულ ენაზე).

საერთაშორისო მდგომარეობაც არ იყო მთლად სახარბიელო. რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში დასაყრდენი ბაზის გაჩენამ და მისმა გააქტიურებულმა სწრაფვამ ახლო აღმოსავლეთისაკენ, გამოაფხიზლა ინგლისელი და ფრანგი დიპლომატები, რომლებიც, უკვე XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ამიერკავკასიის რეგიონის პრობლემების თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვეტისათვის საქმიანობის წარმართვას.

რუსეთის მთავრობისთვის აშკარა გახდა, რომ ამიერკავკასიის ასათვისებლად წარმოებულმა პოლიტიკამ, რომელიც გულისხმობდა ერთი დარტყმით, ძალითა და უხეში მეთოდებით მიეღწია მიზნისათვის, კრახი განიცადა. მეტროპოლია დადგა პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობის წინაშე — უნდა შეენიღბა ძალის პოლიტიკა, ბრძოლის უხეში ფორმები და მეთოდები. ამავე დროს, აქცენტი გამახვილდა, ერში გათიშულობისა და ურთიერთდაპირისპირებულობის გაღრმავებაზე. პოლიტიკის წარმატების უზრუნველსაყოფად საჭირო იყო რომელიმე სოციალურ ფენასთან გამოენახა საერთო ენა, მოეძებნა მისთვის სუსტი ადგილები, გაებრუებინა შთამაგონებელი ფრაზებით, მოესყიდა არაარსებითი შეღავათებით, დაერწმუნებინა იგი სხვა სოციალური ფენიდან თუ კლასიდან გამომდინარე საფრთხის არსებობაში, დაეპირისპირებინა მისთვის. ასეთი დამუშავება ეროვნულ გრძნობებს დააჩლუნგებდა და ჩამოაშორებდა ყურადღებას იმ საფრთხეს, რომელსაც „მეგობრის“ სამოსელში გახვეული დამპყრობელი უმზადებდა საქართველოს. ამჯერად, მეტროპოლია ქართველი არისტოკრატიის გარკვეულ ნაწილს „დაუძმობილდა“ (მოგვიანებით წითელი რუსეთი, იგივე სქემით, პროლეტარიატს „უძმობილდება“). ის, რაც ვერ შეძლო რუსულმა იარაღმა, რუსულ ყაიდაზე მოაზროვნე ქართველს უნდა გაეკეთებინა.

1842 წლის ცვლილებები არ აღმოჩნდა საკმარისი (ნაწილობრივ აღადგინეს ვახტანგ VI-ის კანონები, ადგილობრივ თავადაზნაურობას მისცეს უფლება რუსულ მართვა-გამგეობაში მონაწილეობისა და სხვა) და 1844 წლის ბოლოდან კავკასიაში მთავარმართებლის ნაცვლად შემოიღეს ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი მეფისნაცვლის თანამდებობა, რომელზეც დაინიშნა ინგლისური დიპლომატიური სკოლის ტრადიციებზე აღზრდილი, განათლებული, შორსმჭვრეტელი და ცბიერი პოლიტიკოსი მიხეილ ვორონცოვი— მეგობრის ნიღაბს ამოფარებული ულმობელი კოლონიზატორი. ნიკოლოზ პირველმა პირადად გააცნო ვორონცოვს ის ამოცანები, რომლებიც უნდა განეხორციელებინა მას კავკასიაში მოღვაწეობის დროს, ამ ამოცანების უმთავრესი მიზანი კი იყო „კავკასიის ხალხების რუსებში გათქვეფა“ (ე. სტალინსკი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის საიუბილეო კრებული. — ტფილისი: 1901, გვ. 32. რუსულ ენაზე).

ვორონცოვიც მოქნილად და ხერხიანად შეუდგა მიღებული დავალების შესრულებას. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში დაენერგა რუსული სულისკვეთება, რუსული წესები, მაგრამ, თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, არა უცბად და უხეში ძალის გამოყენებით, არამედ შეპარულად, თანდათან, მეთოდურად და გეგმიანად.

იგი შეუდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ ფუნქციებდაკარგული თავადაზნაურობის მოფერება-დაყვავების, გადაბირების და იმპერიის მიზნებისადმი მათი საქმიანობის დაქვემდებარების გზას. მან მათთვის სასარგებლოდ გარკვეული ღონისძიებანი გაატარა: 1849 წელს გაიხსნა ამიერკავკასიის ბანკი, რომელიც თავადაზნაურობას გრძელვადიანი სესხის მიღების საშუალებას აძლევდა. დააჩქარა მათთვის წოდების დამტკიცების გაჭიანურებული საქმე, რითაც 30 ათასამდე კაცი დამტკიცდა თავადაზნაურულ წოდებაში, უამისოდ კი ჭირდა სახელმწიფო სამსახურში მიღება. თავადაზნაურთა გული მოინადირა 1849 წელს მიღებული კანონითაც, რომელმაც მემამულენი გაათავისუფლა სასამართლო ორგანოებში ყმების კუთვნილების შესახებ საბუთების წარდგენის მოვალეობისგან. ამიერიდან თვითონ გლეხებს უნდა ჰქონოდათ თავიანთი თავისუფლების დამამტკიცებელი საბუთი.

ამავე დროს, ვორონცოვი ესწრაფოდა დაჩქარებულიყო რუსეთის ერთიანი ეროვნული ბაზრის ორბიტაში საქართველოს ჩართვა, მის ნაწილად ქცევა. სწორედ ამას ისახავდა მიზნად, და არა საქართველოსადმი ზრუნვას, მის მიერ გატარებული ის ღონისძიებები, რომლებიც სავაჭრო გზების გაყვანით, რუსი კაპიტალისტების მოწვევით, სასოფლო მეურნეობის რაციონალური მოწყობით და სხვა მრავალი ეკონომიკური ხასიათის საქმიანობით გამოიხატა.

ვორონცოვმა, დაინახა რა ქართულ ხასიათში განსაკუთრებული, ბუნებრივი მიდრეკილება ხელოვნების, კულტურისა და განათლებისადმი, იგი მიიჩნია ქართველებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებად, ალღო აუღო ამ სფეროებში ქართველთა წინსვლის რეალობასაც, და შეფერხების მაგივრად, თავისი პოლიტიკის არსენალში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი დაუთმო სწორედ კულტურული ხასიათის ღონისძიებების გატარებას. თავიც წარმოაჩინა, როგორც ქართველთა წარსულის დამფასებელმა და ქართული კულტურისა და ხელოვნების დიდმა მეცენატმა. მისი მმართველობის პერიოდში დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, კავკასიური მუზეუმი, რუსული თეატრი, შეიქმნა იტალიური ოპერა, აღდგა ქართული თეატრი, გამოვიდა ქართული ჟურნალი „ცისკარი“, გაიხსნა მეორე გიმნაზია თბილისში, გიმნაზია გაიხსნა ქუთაისშიც. თავადაზნაურთა შვილები რეგულარულად იგზავნებოდნენ რუსეთში სასწავლებლად.

ვორონცოვმა შეცვალა შამილის წინააღმდეგ ომის ტაქტიკაც. მისი წინამორბედნი ერთბაშად აპირებდნენ კავკასიის მთიანეთის დაპყრობას, მაგრამ მათ ცდას წარმატება არ მოჰყოლია. ვორონცოვი კი მოთმინებით და თანდათანობით შეუდგა მიზნის განხორციელებას: დაიწყეს ტყეების გაჩეხვა, რათა თავისუფლად გადაადგილებულიყო ჯარი და მოესპო მთიელებისთვის თავშესაფარი, დაკავებულ მიწებზე და ზურგში წართმეულ ტერიტორიებზე აწყობდნენ კაზაკურ სტანიცებს. ერთი სიტყვით, „ხიშტის სისტემა შეცვალა ნაჯახის სისტემამ“ (ა. ზისერმანი. ოცდახუთი წელი კავკასიაში. — ნაწ. I, ს. — პეტერბურგი: 1879, გვ. 72, რუსულ ენაზე).

ვორონცოვის პიროვნებამ, მისმა შენიღბულმა პოლიტიკამ ბევრი ჩვენი მამულიშვილი დააბნია. არჩილ ჯორჯაძე წერდა: „ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეებში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება, ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა, ქართველებს, ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ ... ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცხადა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი. ქართული ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ — ეს ოცნება რეალობად იქცა“ (ა. ჯორჯაძე. — თხზ., წიგნი V, თბ.: გვ. 9.).

ვორონცოვის თაყვანისმცემლები ზედაპირულად უდგებიან საკითხს, ვერ ამჩნევენ იმ მიზეზებს, რომლებმაც რუსეთის პოლიტიკის შერბილება და სარბიელზე ვორონცოვის ტიპის პოლიტიკური მოღვაწის გამოჩენამ გამოიწვია, იმ მიზნებს, რომელთა განხორციელებასაც აპირებდა რუსეთი ქართველებისადმი „მეგობრული გრძნობებით“ შეპყრობილი ვორონცოვის ხელით. ისინი პოლიტიკაში ამ ცვლილებებს ვორონცოვის ქართველებისადმი სიყვარულს უკავშირებენ. არ არის გამორიცხული, რომ ვორონცოვს მართლაც ჰქონდა გარკვეული სიმპათიები საქართველოსადმი, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს უნარიანად და თავდადებით წარემართა ქართველთა საზიანო, იმპერიის სასარგებლო პოლიტიკა. ვორონცოვი თვითონ აღნიშნავდა „საქართველო სულ სხვა ბაღია და მის ყვავილებსაც სხვაგვარი მებაღეობა ეჭირვებაო“ (აკაკი წერეთელი, რჩეული, ტ. III, თბ.: 1989. გვ. 80.). მისი ქვრივი იგონებდა, რომ ვორონცოვს „აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივსა სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა. სულ იმას ამბობდა: ეს პატარა საქართველო დიდ რუსეთის ქარგაში უმშვენიერესი ფერადი და უმტკიცესი ოქრო-ქსოვილი იქნებაო“ (იქვე, გვ. 74-75.). სწორედ დიდი რუსეთის ქარგისათვის სჭირდებოდა და უყვარდა მას საქართველო.

ითვალისწინებდა რა ქართულ ხასიათს, ქართულ ბუნებას, ვორონცოვი მიმართავდა სხვადასხვა ეფექტურ საშუალებებს. აწყობდა თავადაზნაურთა ათასგვარ გასართობებს, მართავდა ევროპულ სამეჯლისო საღამოებსა და წვეულებებს. დაუახლოვდა ქართველ არისტოკრატთა ოჯახებს, გააჩაღა მათთან მისვლა-მოსვლა, რაც ერთგვარ პრესტიჟის საზომადაც იქცა. მიზანი მიღწეულ იქნა და მართლაც საზეიმო, თვალისმომჭრელი, მიმზიდველი და პრესტიჟული გახდა მეფისნაცვლის სასახლის რუსული ატმოსფერო. სამშობლოს დასაცავად მუდამ იარაღშემართული, გამუდმებული ომიანობით მოღლილი და ახლა უფუნქციოდ და საკუთარი სახელმწიფოს გარეშე დარჩენილი ქართველი თავადაზნაურობა, აიყოლია ევროპული ყაიდის ამ ახალმა ბრწყინვალე ცხოვრებამ, რომელმაც აიტაცა, გააბრუა და მიუყუჩა ეროვნული შეგნება და მოვალეობა. მოულოდნელად და ვერაგულად აღმოჩნდა ქართველი არისტოკრატია ამ ახალ, საცდუნებელ, დიდხარჯიან ცხოვრებაში ჩათრეული, რომლისათვისაც ადრე ომიანობით მოუცლელმა, ცხოვრება ისეთ ყაიდაზე ვერ ააწყო, რომ ფული და ქონება ეგროვებინა. არც ახლა აღმოჩნდა მზად იმისთვის, რომ მამულში მომგებიანი მეურნეობა მოეწყო. ამაყი და პატივმოყვარე ქართველი თავადაზნაურობა იძულებული ხდება სესხი აიღოს ბანკიდან, დააგიროს მამულები, რომლებსაც (ამ ქართულ მიწებს) ბოლოს არაქართველები ეუფლებიან. საქართველოს ხელიდან ეცლებოდა მარჩენილი მიწა.

ვორონცოვმა საბოლოოდ მოსპო ქართული ფულის ტრიალიც. შეიტანა ცვლილებები საქართველოს საზიანოდ ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ დანაწილებაშიც. ერთი სიტყვით, მის დროს, შემპარავი, მოქნილი თვალისამხვევი პოლიტიკის წარმოებით ენერგიულად ისპობოდა ქართული სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი ნაშთები.

თვალის მოსატყუებელი ეფექტებითა და ილუზიებით გაბრუებული ქართული საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, ხელშესახები ნივთიერი მხარის გარდა ვერაფერს ხედავს. მათ რუსეთის ხელისუფლების ამ ახალ პოლიტიკურ მანევრს ალღო ვერ აუღეს, კრიტიკულად ვერ შეაფასეს და ბრმად გაეხვივნენ მტრის ნასროლ ბადეში. მაგალითად, მწერალი ვინმე, მელანია ბადრიძე აღტაცებული წერდა: „...გალერეებზე დაჰქრიან გამოწყობილი ლაქიები, ფანჯრებიდან მოსჩანან მდიდრული ფარდები და ყვავილები, ჭერზე მოოქროვილი ჭაღები. ახდა ის, რაზედაც ვოცნებობდი; არა მჯეროდა, რომ თბილისში ჩემს თანამემამულეთა შორის ასეთი განათლება იყო. როდესაც ამაში დავრწმუნდი, კვლავ გავცოცხლდი რაღაც დიდებით, თითქოს გადამერეცხა ძველი აზიური ჟანგი... (ვ. კოტეტიშვილი. ქართული ლიტერატურის ისტორია.— თბ.: 1959, გვ. 170, 241.).

ისეთებიც იყვნენ, რომლებიც არა მარტო თანაგრძნობას უცხადებდნენ დამპყრობლებს, არამედ ხელისუფლების პოლიტიკის თავდადებულ და ერთგულ გამტარებლებად იქცნენ. ქართველ თავადაზნაურთა ნაწილი თავგამოდებით ეხმარებოდა იმპერიას შამილის მიერ წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში, ხელს უწყობდა რუსეთის ანექსიონისტური პოლიტიკის გატარებას კავკასიაში, რომელიც ისეთსავე ხვედრს უმზადებდა დაღესტანს, ჩეჩნეთს, მთელ ჩრდილოეთ კავკასიას, როგორიც წილად ხვდა საქართველოს. რუსებთან შედარებით ქართველებს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდათ მთაში ომების წარმოებისა, მთიელებთან ურთიერთობისა და ბრძოლისა, რაც ვერაგულად გამოიყენა იმპერიამ შამილის წინააღმდეგ ომში, როდესაც ქართველები რუსული იარაღით მთიელთა სოფლებს მიწასთან ასწორებდნენ, თავს იმით იმართლებდნენ, ვითომც ამას ლეკების წინააღმდეგ „ქართველთა სისხლის საზღაურად“ შვრებოდნენ, (მაგრამ იმას რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს, როდესაც რუსულ მუნდირში გამოწყობილი ზოგიერთი ქართველი სისხლში ახშობდა 1804 წლის მთიულეთის, 1812 წლის კახეთის, 1810 და 1819 წლების იმერეთის, 1841 წლის გურიისა და რუსების წინააღმდეგ მიმართულ თანამემამულეთა სხვა აჯანყებებს). უფრო მეტიც, ისინი მზად არიან მხარში ამოუდგნენ რუსეთის იმპერატორს და ევროპელებსაც ასწავლონ ჭკუა. 1848 წელს ნიკოლოზ პირველს მისწერეს: „ყოველი ჩვენთაგანი გრძნობს წმინდა სიყვარულს და თავდადებას ჩვენი რუსეთის თვითმპყრობელი მონარქისადმი... გვსურს, რომ მოთხოვნილ იქნეს ჩვენი სამსახური გინდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებში, გინდ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაც, თუკი იმ უწესობათ, რომელნიც აღელვებს დასავლეთ ევროპას, შეუძლია რაიმე საფრთხე მიაყენოს იმ სახელმწიფოს კეთილდღეობას, რომელსაც პატივი აქვს საქართველოს ამჟამად ეკუთვნოდეს“ (პ. გუგუშვილი. ქართული ჟურნალისტიკა. — ტ. I, თბ.: 1941, გვ. 10). ისეთებიც იყვნენ, რუს მოხელეებზე მეტ ერთგულებას რომ იჩენდნენ ქართველი ერის გადაგვარებაში. მაგალითად, ცნობილი გიორგი მუხრანსკი, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ „ჭკუით და გულით მოკვეთილი“ უწოდა. ზაქარია ჭიჭინაძის დახასიათებით იგი არა მარტო გარუსებული იყო და მოძალადე ქართველთა, არამედ იყო ქვემძრომი და რუსეთის მთავრობის დიდი მომხრე. მუხრანსკი ქართველთა გარუსების აუცილებლობას „მეცნიერულად“ ასაბუთებდა: „საქართველო რომ მოისპობა, ამაში ეჭვი არ უნდა, ამისი მსგავსი ბუნებაშიც ბევრია, დიდი თევზი პატარას ჭამს, დიდი მხეცი პატარას და ა. შ. ამიტომ ჩვენ მომავალი არა გვაქვს და უმჯობესია ჩვენი გადაგვარება და გარუსება“ (ზ. ჭიჭინაძე. საქართველოს მოსპობა და ქართველი ერის გარუსება. — თბ. 1919, გვ. 19-20). მუხრანსკიმ თავისი „ნაშრომი“ ფრანგულად ათარგმნია და პარიზშიც გამოაქვეყნა.

სამწუხაროდ, დამპყრობლების ლაქიებად ქართველების გადაქცევაზე ოცნებობს ისტორიკოსი პლატონ იოსელიანიც, „მთავრობის წვეულებებზე და ბალებზე უნდა დახვიდოდეთ, მთავრობასთან ახლოს იყვნეთ, რომ მთავრობა თქვენზე კარგი თვალის იყვეს. აი ბედნიერი საქმე ჩვენთვის... თქვენს ლამაზად მორთულ სახლში შედიოდნენ და გამოდიოდნენ გენერლები, პოლკოვნიკები და სხვანი. თქვენც, რასაკვირველია, მორთულები დაუხვდებით ღირებულის ტანისამოსითა, ჩინებულის სურვისითა, გემრიელს ყავას მიართმევდეთ მოტკბოს კამეჩის ნაღებითა“ (ვ. კოტეტიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 171). ოკუპანტებისადმი მლიქვნელობა და ნივთიერი ქვეყანა— აი რა ქცეულა უკვე ამ კატეგორიის ადამიანთა ცხოვრების აზრად. ამავე დროს მათ პატრიოტებადაც მოაქვთ თავი, და პატივისცემითაც სარგებლობენ შეცდომაში შეყვანილი ხალხისაგან.

დამონების პროცესი ძირითადად სამი ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე, როდესაც შენზე ძლიერ მოძალადეს, დამპყრობელს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევ და იბრძვი თავისუფლებისთვის; მეორე ეტაპზე, როდესაც მოძალადე, დამპყრობელი ჯერ კიდევ გძულს, მაგრამ ამასთანავე შეგუებული ხარ უკვე იმ აზრს, რომ ის შენზე ძლიერია და ბრძოლას აზრი აღარ აქვს, და ბოლოს, მესამე ეტაპზე, უკვე იმდენად ეჩვევი, ეთვისები მოძალადეს, დამპყრობელს, რომ გიყვარდება კიდეც და სხვანაირად ვეღარც წარმოგიდგენია არსებობა (კარგად არის ეს პროცესი გადმოცემული მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ მარგოსა და ჯაყოს ურთიერთობის მაგალითზე). ვორონცოვმა დააჩქარა ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის ამ მესამე ეტაპზე გადაყვანის პროცესი (რომელმაც კლასიკური სახე საბჭოთა პერიოდში მიიღო). საზოგადოების ამ ნაწილისთვის აღარ არსებობს ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული ღირსება და თავმოყვარეობა, და თუ არსებობს, ისიც მორჩილი და მონური სულისაა. მათ სამშობლო გულწრფელად უყვართ, ბედნიერიცა ჰგონიათ და თვითონაც ბედნიერების ილუზიებში არიან გახვეულნი. ვერა გრძნობენ იმ ეროვნულ გადაგვარებას, რომელიც თავისუფლების დაკარგვას და რუსეთის „მფარველობაში“ ყოფნას მოსდევს, მიუხედავად იმისა, თუ როგორი ფორმით იქნება განხორციელებული ეს მფარველობა. ამ ხალხს ვორონცოვის სიკვდილის შემდეგაც, დიდხანს არ განელებია მისადმი სიყვარული და თაყვანისცემა. აკაკი წერეთელი წერდა: „საზოგადოდ ქართველებს ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვარანცოვის, რომ, თუ რუსეთში მყოფი, ან მიმავალი ქართველი ვარანცოვის ქვრივს არ გაუვლიდა (ოდესაში — ჰ. კ.) და არ ნახავდა, ვერც კი წარმოიდგენდნენ“ (ა. წერეთლის დასახ. წიგნი, გვ. 73.).

საბედნიეროდ, საქართველოში იყო სხვა ძალაც — ქართული ინტელიგენცია. თუმცა, ჯერ იგი მხოლოდ ფეხს იდგამდა, იდგამდა, რათა უთავოდ და უსახელმწიფოდ დარჩენილი ერისთვის ეპატრონა და გადაერჩინა გაქრობისგან, რომელიც მას გარდაუვალად მოელოდა იმპერიის მარწუხებში. მისი ჯანსაღი ნაწილი საღად აფასებდა რუსეთის პოლიტიკის არსს, ანალიტიკური გონებით იხედებოდა მოვლენის ძირში, ეჭვის თვალით უყურებდა იმპერიის პოლიტიკურ სვლებს, არა სჯეროდა დამპყრობელთა „მეგობრული მზრუნველობისა“. ესენი ფხიზელ დარაჯად დაუდგნენ საქართველოს ისტორიას და ცდილობდნენ გამოეფხიზლებიათ მოჩვენებითი ბედნიერების ილუზიებით გაბრუებული ქართველობა. ინტელიგენცია იქცა ქართული სულის, ქართული მეობის და საერთოდ ქართველი ერის სახის გადარჩენისა და შენარჩუნების გარანტად. საკუთარი სახელმწიფოს არქონების პირობებში, ეს დიდი მისია იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის მთელ პერიოდში, (განსაკუთრებით კი საბჭოთა პერიოდში), შეასრულა სწორედ ქართველმა ინტელიგენციამ.

პოლიტიკის შერბილებამ, ჟურნალის გამოცემამ, თეატრის დაარსებამ რუსეთის მთავრობის მიზნების საწინააღმდეგო შედეგები გამოიღო. შესაძლებელი გახდა გაფართოებულიყო ინფორმაციის გადაცემის რადიუსი, საზოგადოებრივი აზროვნება გამოფხიზლდა. ჟურნალ „ცისკრიდან“ (ქართულად სხვა ჟურნალი არ არსებობდა) დაიწყეს შეპარულად, ხანდახან აშკარადაც ეროვნული იდეალების, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება.

ამ პერიოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ალექსანდრე ორბელიანი (1802-1869 წ. წ.), სამწუხაროდ, ქართველ ბავშვებს საბჭოთა სახელმძღვანელოებში ამ პიროვნებას უხატავდნენ, როგორც რეაქციონერ ფეოდალთა ლიდერს, რომელიც დ. ჯონქაძის „სურამის ციხეში“ აღწერილი ბატონისა და ყმის ანტაგონისტური დამოკიდებულების საპირისპიროდ, ქადაგებდა საერთო მტრის წინააღმდეგ ქართველთა ერთიანობის აუცილებლობას და არა კლასობრივი შუღლის გაღვივებას. ალექსანდრე ორბელიანი იყო პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი. იგი იყო დიდი პატრიოტი და სამშობლოსათვის თავდადებული, თავისუფლებისმოყვარე ადამიანი. ერეკლე მეორის შვილიშვილს (თეკლე ბატონიშვილის უფროს ვაჟს) შეეძლო კარიერაც გაეკეთებინა და განცხრომითაც ეცხოვრა, მაგრამ მონობაში განდიდებას თავისუფლებისთვის ბრძოლა არჩია. ალექსანდრე ორბელიანი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის 1840 წლამდე გადასახლებული იყო ორენბურგში.

მაშინ იმდენად ძლიერი იყო ვორონცოვის მიერ ქართველი საზოგადოებისათვის თავსმოხვეული ეიფორიული მდგომარეობა, რომ აღტაცებას იწვევს ამ დიდებული კაცის პიროვნება, რომელმაც, სწორედ, ამ საერთო ეიფორიაში შეინარჩუნა ფხიზელი გონება, მიმდინარე მოვლენათა სიღრმეში წვდომის უნარი. იგი წერდა: „სხვა წარსული მთავარმართებლები ხომ გვატყვილებდნენ, მაგრამ ისინი უფრო დესპოტური მძვინვარებით. მაგრამ ვარანცოვის დრო, სულ სხვაგვარი მოსატყუებელი იყო, ჩვენგან გამოუცდელი. ვარანცოვი ბევრს გვაალერსებდა ვითომც კაი კაცობას გვიჩვენებდა, ნამეტნავად უფრო კიდევ იმათ, ვინც რუსეთის ინტერესზე იქცეოდა. ამასთან ხელგაშლილი, ჩინებს და სხვადასხვა ჯილდოებს იძლეოდა, თან ბევრი შექცევა და განცხრომა ჰქონდა ხოლმე... და კიდევ რამდენი რამ მოიგონა ვარანცოვმა ჩვენი მოსატყუებელი“. ალექსანდრე ორბელიანს არ დარჩენია გაუშიფრავი ვორონცოვის თითქმის არცერთი სვლა, იგი განაგრძობს: „ერთობ ქართველებსა ასე ეგონათ, იმისთანა განცხრომა შექცევანი სულ ასე დარჩებოდა, ამიტომ ვარანცოვის სახელს ადიდებდნენ, ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდაო, მაგრამ მე კი ზედმიწევნით ვიცოდი, ესეები სულ მოჩვენება იყო ვარანცოვისაგან, რომ საქართველოს ხალხი გართულები იყვნენ დროებითად ამბავში და მთავრობაზედ ცუდი ფიქრი აღარავის ჰქონდეს, ამისათვის რომ ვარანცოვის დროს შამილი და დაღესტანი გაძლიერებულნი იყვნენ: ქართველების ეშინოდა (რომ არ აჯანყებულიყვნენ), მაგრამ ვარანცოვმა იმ თავისი ცბიერულის გონებით ესენი სულ ჩაშალა და ბოლოს ისევ იმ მონებაში დარჩნენ ქართველები როგორც ადრე იყვნენ რუსებისა“ (ვ. კოტეტიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 168.).

ვორონცოვის აზრით, ქართველების გარუსებაში უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეესრულებინა საქართველოში განათლების რუსული სისტემის დანერგვას, აქ გეგმიანად და მეთოდურად უნდა წარმართულიყო ქართველთა გარუსების პროცესი. ალექსანდრე ორბელიანს არც ეს საკითხი გამორჩენია მხედველობიდან: „ჩვენს ეხლანდელ სასწავლებლებზედ ვერას ვიტყვით კარგსა ჩვენი ქართველებისათვისა, ამისათვის, რომ ჯერ სრული განათლების სწავლა იმათში არ არის და მას უკან, რასაც ასწავლიან, სულ ერთიან ქართველებსა რუსებად ამზადებენ“ (იქვე, გვ. 170-171.).

სინამდვილეში რა მიზანი ამოძრავებდა ვორონცოვს, როდესაც იგი თბილისში თეატრის დაარსებისთვის იღვწოდა და აღფრთოვანებული ქართველების მადლიერებას იმსახურებდა, კარგად ჩანს მის მიერ 1849 წელს პეტერბურგში, მინისტრისადმი გაგზავნილ დოკუმენტში,. იგი წერდა: „თეატრის არსებობას უნდა შევხედოთ არა მარტო, როგორც სიამოვნებისა და გართობის საშუალებას, არამედ როგორც ისეთ დაწესებულებას, რომელსაც აქვს დასახული მნიშვნელოვანი მიზანი: ტუზემცები გააცნოს რუსულ ენას, რუსულ ჩვეულებებს და ასეთნაირად ხელი შეუწყოს და ისინი თანდათან გათქვიფოს რუსებში“ (ს. გერსამია. გიორგი ერისთავის თეატრი. —თბ.: 1950, გვ. 39.). ვორონცოვი იგივე აზრს გამოთქვამს ქართული თეატრის დაარსების თაობაზე ნიკოლოზ პირველისადმი გაგზავნილ მოხსენებაში.

ყველაფერი ის, რაც რუსეთის მთავრობას თავისი მიზნებისთვის უნდოდა გამოეყენებინა, ქართველი ინტელიგენციამ შეეცადა გონივრული მოქმედებით ჟურნალი, თეატრი, სკოლა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და გამოფხიზლების რეალურ ძალად ექცია. გ. ერისთავის თეატრი რუსული ბიუროკრატიული ადმინისტრაციის სამხილებელი ასპარეზი გახდა. საინტერესო ფაქტს გადმოგვცემს ს. გერსამია. 1850 წელს გამართულ გ. ერისთავის პიესის „დავის“ პრემიერას ვორონცოვიც დასწრებია. პიესის ერთ-ერთი პერსონაჟის, მეფის მოხელის, გაქნილი, არამზადა და მექრთამე ვზიატკინის როლს ასრულებდა სამეფისნაცვლოს უმაღლესი თანამდებობის პირი შერბინინი. პიესის პერსონაჟი ასეთი დიდი კაცის ენით აღიარებდა სახელმწიფო დაწესებულებებში გაბატონებულ უმსგავსოებას და იქაურ მოხელეთა გარყვნილება-გათახსირებას. ლოთი ივანეს როლს ასრულებდა აგრეთვე მეფის დაწესებულების მოხელე ბულგაკოვი. პიესაში ვზიატკინის სხვა დამქაშები და გაიძვერებიც მრავლად არიან.

ვორონცოვი პიესის მსვლელობის დროს ისეთსავე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორც ნიკოლოზ პირველი გოგოლის „რევიზორის“ პრემიერაზე. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მაყურებლები გაქვავებულები იდგნენ თავიანთი სკამების წინ, არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ, ისინი უხერხული მდგომარეობიდან ისევ მეფემ გამოიყვანა, რომელმაც ხმამაღლა წამოიძახა „აი პიესა, ყველას მოხვდა და ყველაზე მეტად მეო“. დაუკრა ტაში და მთელი დარბაზიც აჰყვა. გული კი ცბიერ იმპერატორს ბოღმით ჰქონდა სავსე. ვორონცოვმაც თითქმის იგივე გაიმეორა, ოღონდ უფრო მცირე მასშტაბით. ტაში დაუკრა და მას სხვებიც აჰყვნენ. მაგრამ ეს იყო გაქნილი პოლიტიკოსის ტაში, ვითომც ნანახისა და გაგონილის არაფრად ჩაგდება. ვორონცოვი რის ვორონცოვი იქნებოდა, რომ არ მოეთმინა და ქართული თეატრის იდეოლოგიური ხაზის გამოსწორება მომავლისათვის სასურველი გზით არ წარემართა. მართლაც, მალე გ. ერისთავის პიესებმა ოფიციალური პირების უკმაყოფილება გამოიწვია და 1856 წელს „დავა“ და „გაყრა“ აკრძალეს, ხოლო მთავრობის ოფიციალური გაზეთი „კავკაზი“ იწყებს ჭკუის სწავლებას და იძლევა მითითებებს: „აქაური ხალხის ინტერესები და მისწრაფებები ოდნავაც არ ეწინააღმდეგება იმ განათლებას, რომელსაც მთავრობა მათში თესავს. საქართველოსთვის დიდი ხანია დადგა ახალი ცხოვრება, ეს მოხდა მას მერე, რაც გულში ჩაეკრა მისთვის კეთილი სურვილებით აღსავსე რუსეთს, და თუ ქართველი დრამატურგები ამ რწმენას განამტკიცებენ თავიანთ სასცენო ნაწარმოებებში, მაშინ მათ შეუძლიათ იმედი იქონიონ ადგილობრივ მკვიდრთა დიდი თანაგრძნობისა“ (გაზ. „კავკაზ“. 1854. № 48. რუსულ ენაზე). მთავრობა ურჩევს ქართული კულტურის მოღვაწეებს თავი აანებონ მამხილებელი პიესების წერას, და რუსეთის ძლიერებას, მისი პოლიტიკის „ჰუმანურობასა და კეთილ განზრახვებს“ შეასხან ხოტბა.

მაშინდელ მოღვაწეთა შორის ინტერესს იწვევს მიხეილ თუმანიშვილის პიროვნება, რომელიც „მოლაყბის“ ფსევდონიმით თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში“. მისი წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთი შეხედვით იგი თითქოს მთავრობის მეხოტბეა, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, მათში ნათლად იგრძნობა განგაშის ტონი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ეროვნულ საკითხს ეხება. იგი ერთგვარ სტრატეგიას იჩენს, თანა ჰკიცხავს ქართული საზოგადოების ერთ ნაწილს, თან თითქოს ემადლიერება მთავრობას, თანაც ეროვნულ იდეებს ქადაგებს (ამ პიროვნებას ვრცლად ახასიათებს ვ. კოტეტიშვილი დასახელებულ ნაშრომში). მიხეილ თუმანიშვილი ერთ-ერთ წერილში წერდა: „ამისთანა მყუდრო მდგომარეობაში, კაცს არ შეეძლოს თავისი სამშობლო ენის მოხმარება! უბედურება არ არის? მე უბედურება მგონია ესა, და არა თუ უბედურება, უბედურებაზე უბედურებაა! მაგრამ ვის ველაპარაკები უბედურებაზე, განა იმდენი მხურვალება გვაქვს გულში, რომ ვიგრძნოთ უბედურება?“ (ჟურნ. „ცისკარი“. 1857, № 12.). ერთ წინადადებაში შვიდჯერ დაბეჯითებით იმეორებს სიტყვა „უბედურებას“, თითქოს ავტორი ეიფორიაში მყოფი საზოგადოებისათვის არსებული საფრთხის დანახვებას, მასზე ყურადღების მიქცევას და შთაგონებას ცდილობს. მთავრობის ხოტბა მიხეილ თუმანიშვილისთვის მხოლოდ ნიღაბია, რათა ეროვნულ საკითხებს შეეხოს. „ველაპარაკებით ქართველთა... ღვთის გულისათვის იყავით ნამდვილი ქართველნი. გიყვარდეთ თქვენი ენა, თქვენი მამული, კიდევ გავიმეორებთ თქვენი სამშობლო ენის მზეს (ამაზე უდიდესი ფიცი არა მგონია იყოს, ვისაც კი გრძნობა აქვს და ესმის). ყური დამიგდეთ, დრო არის გაღვიძებისა. ვეცადოთ გავისწოროდ ზნეობა ჩვენი, ვიფიქროთ მომავალზე, ვიფიქროთ ჩვენს შვილიშვილებზედ, ვიფიქროთ ჩვენს სიტყვიერებაზედ, დავუმტკიცოდ ჩვენს დიდ ხელმწიფეს, რომ ჩვენც გვესმის იმისი კეთილი განზრახვა. ვიყვეთ ჭეშმარიტი მამულისშვილები, დრო არის ხელი ავიღოთ ერთმანეთის გაკიცხვისაგან, დაცინვისაგან, და შურობისაგან, აბა ღვთის გულისათვის ეს რა ზნეობა არის, ზოგიერთი ქართველი მაღლის სასწავლებელში ნამყოფი განათლებაზედ თავსა სდებს და თავისი მამულის ღირსება არ იცის. განათლებულ კაცსა მამული სძულდეს! იმას განათლებული გონება კი არა უფრო დაბნელებული უნდა ქონდეს“ (ჟურნ. „ცისკარი“. 1858, № 3.).

მისმა ასეთმა გაბედულმა გამოსვლებმა, „კალმისათვის ასეთი თავისუფლების მიცემამ“ მავანთა უკმაყოფილება გამოიწვია და რედაქციიდან გააგდეს. მაგრამ საზოგადოებამ ხმა აიმაღლა. ალექსანდრე ორბელიანმა „ცისკარში“ მის დასაცავად გამოაქვეყნა სტატია. რედაქციაში გამოგზავნეს თორთმეტი კაცისაგან ხელმოწერილი წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „მოლაყბეს რომ მოკლავთ, მას უკან გადარეული დასწრეს, უფრო უარესად და გარკვევით, მასაც რომ მოკლათ, მერე თავზედი და ბოლომდე ასე ვიყვლითო“ (ჟურნ. „ცისკარი“. 1859, № 2.).

ამრიგად, როგორც დავინახეთ, რუსეთის იმპერია თავისებურებებით გამორჩეული, ძნელად ასათვისებელი საქართველოს დამორჩილებისა და შენარჩუნებისათვის იყენებდა ბრძოლის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს. (ეს პროცესი არც შეჩერებულა, შემდგომშიაც იმპერიამ ხან ფერი იცვალა, ხან გარეგნობა). რადგანაც მკაცრმა და უხეშმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გააძლიერა ქართველთა წინააღმდეგობა და სასურველი შედეგები ვერ მოიტანა, რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო ზომები, რომელსაც XIX საუკუნის 40-50-იან წლებში პოლიტიკის ერთგვარი შერბილება, ლიბერალიზაცია მოჰყვა საქართველოში. ამ საქმეში კარგად იქნა გამოყენებული მ. ვორონცოვის დიპლომატიური ნიჭი და უნარი. შეიქმნა მოჩვენებითი კეთილდღეობის ატმოსფერო.

ყველა არ წამოეგებია რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკურ მანევრებს. გარეგნულად თითქოს ერთგვარი სიწყნარე სუფევდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ საქართველოში ეროვნული თავისუფლების იდეა გამქრალიყოს. პირიქით, XIX საუკუნის პირველი ნახევრის აჯანყებებისა და 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ, ერთგვარმა დაბნეულობამ გაიარა და ამ იდეების ხელახალი აღორძინება დაიწყეს ახლად ჩასახულმა ქართველი ინტელიგენციის პროგრესულმა წარმომადგენლებმა, რითაც მათ ნოყიერი ნიადაგი შეუმზადეს ილია ჭავჭავაძის თაობას.

ამიერიდან ქართველი ინტელიგენცია კისრულობს ერის პატრონობას (არაოფიციალურად), რათა, ბრძოლის არამშვიდობიანი ფორმების გამოყენების შეუძლებლობისა და იმპერიის მკაცრ ანტიეროვნულ ატმოსფეროში, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესაძლებლობათა გამოყენებით, შეპარულად თუ აშკარად, ის მაინც ექნათ, რომ უსახელმწიფოდ, უთავოდ და უფუნქციოდ დარჩენილ ქართველ ხალხს არ დაეკარგა თავისი მეობა და თავისი სახე, ხელი შეეშალათ დამპყრობელთა იმ გეგმებისათვის, რომლებიც ერს გადაგვარებასა და გაქრობას უქადდა.

ჰენრი კუპრაშვილი.

საზღვარგარეთ

რამდენიმე სტრიქონით

რადიოსადგური „გერმანიის ტალღა“ იუწყება, რომ კუბაზე დაკავებულ 3 ჯარისკაცს, რომლებიც ამ ქვეყანაში შეერთებული შტატებიდან გადავიდნენ, დივერსანტობა თუ დაუმტკიცდათ, მათ სიკვდილით დასჯა ემუქრებათ.

როგორც ცნობილია, აფრიკის ქვეყანა ჩადში სახელმწიფო გადატრიალების ცდა იყო. მთავრობის წრეები იუწყებოდნენ, რომ ჩადის ტბის რაიონში 400-მდე აჯანყებული განადგურდაო. ხუთი უცხოელი ჟურნალისტი, რომელმაც სამხედრო ოპერაციების ადგილები ინახულა, აცხადებს, რომ ბრძოლები უმნიშვნელო იყოო.

რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ცნობით მოსკოვში 50 ათას კაციანი მიტინგი გაიმართა, რომლის მონაწილეები საბჭოთა კავშირისა და ფასების სახელმწიფო კომიტეტის აღდგენას მოითხოვდნენ.

კაიროში დააპატიმრეს ოპოზიციის ორი წარმომადგენელი, რომლებიც ხმებს ავრცელებდნენ თითქოსდა მთავრობა ხელისუფლების სამხედროებისათვის გადაცემას აპირებსო.

როგორც ცნობილია, რამდენიმე ხნის წინათ ალჟირში ჩატარებული არჩევნების შემდეგ ისლამის ფუნდამენტალისტებმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს. პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, ალჟირში შესაძლებელია ირანის მსგავსი ხელისუფლება დამყარდეს. იუწყებიან, რომ შექმნილ რთულ ვითარებაში გუშინწინ ალჟირის პრეზიდენტი შადლი ბენჯედიდი გადადგა.

ვაშინგტონში დაიწყო ისრაელ-პალესტინა-იორდანიის დელეგაციების მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების თაობაზე. პალესტინის დელეგაცია ცდილობს, რომ ისრაელს ცალკე ესაუბროს, ისრაელი კი ამის წინააღმდეგია. იგი პალესტინა-იორდანიის წარმომადგენლებს ერთ დელეგაციად განიხილავს.

რთული ვითარებაა უკრაინასა და რუსეთს შორის შავი ზღვის ფლოტის გამო. უკრაინა მის საკუთარ დაქვემდებარებაში გადაცემას მოითხოვს. რუსეთი ამის წინააღმდეგია. იუწყებიან, რომ გუშინ მოსკოვში მოდავე მხარეებმა გარკვეულ კომპრომისულ წინადადებას მიაღწიეს.

ირლანდიის რესპუბლიკურმა არმიამ, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიის, ირლანდიის რესპუბლიკასთან შეერთებისთვის იბრძვის, ოფიციალურად აღიარა, რომ პარასკევს ლონდონის ცენტრში, პრემიერ ჯონ მეიჯორის რეზიდენციის მახლობლად მომხდარი ძლიერი აფეთქება მისი მომხრეების ნახელავია.

ბოლო პერიოდში ფრიად დაიძაბა ურთიერთობა რუსეთის ფედერაციის პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტს შორის. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ რუსლან ჰაზბულატოვმა მინისტრთა კაბინეტს გადადგომისაკენ მოუწოდა. მისი აზრით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაუქმება ნაადრევია. ჰაზბულატოვმა დაგმო რუსეთში ფასების ლიბერალიზაციის პროცესიც.

როგორც ცნობილია, უკრაინაში მანეთების პარალელურად კუპონების სისტემა შემოიღეს. ამის გამო გამონთავისუფლებული მანეთების რუსეთის ბაზარზე გადინება ხდება. საპასუხოდ რუსეთის ფედერაციამ აკრძალა რესპუბლიკიდან 60 დასახელების პროდუქციის გატანა. ინგლისური „ფაინენშლ თაიმსის“ აზრით, უკრაინა-რუსეთის ურთიერთობა საფინანსო სფეროში მომავალში კიდევ უფრო დაიძაბება. გაზეთი აგრეთვე ხაზს უსვამს, რომ ფასების ლიბერალიზაციის დროს რუსეთის მინისტრთა კაბინეტმა შესაძლოა მასების საპროტესტო მოძრაობას ვერ გაუძლოსო.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის შემდეგ სლოვენეთისა და ხორვატიის დამოუკიდებლობა აღიარა ვატიკანმაც. დღეს ლონდონში ჩადის გაეროს გენერალური მდივანი ბუტროს გალი, რომელიც ინგლისის ხელისუფლებთან იუგოსლავიაში შექმნილ ვითარებას განიხილავს.

ბონში სამუშაო ვიზიტით ჩავიდა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რიჩარდ ჩეინი. იგი შეხვდა კანცლერ კოლს და რესპუბლიკის სხვა მაღალი თანამდებობის პირებს. შეხვედრების დროს განიხილავენ ყოფილ საბჭოთა კავშირში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას.

გუშინ რვადღიანი სიწყნარის შემდეგ განახლდა საბრძოლო მოქმედება ხორვატიაში. სროლების დროს მოკლეს 3 ხორვატი და 2 სერბი ჯარისკაცი. ფიქრობენ, რომ ყველა სიმპტომია, რათა სერბეთ-ხორვატიის დაპირისპირება ბოსნიასა და ჰერცოგოვინას რესპუბლიკაში გადაინაცვლოს, სადაც ამ ორი ეროვნების მრავალი წარმომადგენელი ცხოვრობს.

ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ყველა თავისებურად ცდილობს შემოსავლის მიღებას. მაგალითად, ბრესტის საბაჟომ ასეთ გზას მიაგნო. საბაჟოს გავლისას ჩვეულებრივი მოქალაქე 100 მანეთს იხდის, ავტომობილი 600 მანეთს, ხოლო ავტობუსიდან საბაჟოს მოხელეები 6 ათას მანეთს ითხოვენ.

როგორც ცნობილია, ყოფილი საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ფლოტის გამო ცხარე დავა მიმდინარეობს უკრაინასა და რუსეთის ფედერაციას შორის. ახლა ცხადი ხდება, რომ ანალოგიური დავა იწყება კასპიის ფლოტის გარშემო. თავის წილს მოითხოვენ კასპიის ზღვის სანაპირო ქვეყნები — აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია, ყაზახეთი და თურქმენეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვდავი ფესვები

„ვეფხისტყაოსნის" მითოლოგემების ეროვნული ძირები

წერილი პირველი

მითოლოგემა ისეთი მეტაფორა-სიმბოლოა, რომელიც მითოსური წარმოდგენების მხატვრულად გადააზრების შედეგადაა შექმნილი. მითისმქნელისთვის მითოლოგემა როგორც სიმბოლო-მეტაფორა არ არსებობს, მისთვის მითოლოგემაში ნაგულისხმევ შინაარსს გადატანითი მნიშვნელობა არ გააჩნია.

„ვეფხისტყაოსანში" მოხმობილი მითოლოგემები, როგორც მეტაფორა-სიმბოლოები, საოცარი ძალით ერწყმიან სიუჟეტის განვითარების მაგისტრალურ დინებას და ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ შოთა რუსთაველი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული მშობელი ხალხის უმდიდრეს ზეპირსიტყვიერებასთან, მის უძველეს მითოლოგიურ პანთეონთან, განსაკუთრებით კი კოსმოგონიური წარმოდგენებიდან მომდინარე მრავალგანზომილებიან მხატვრულ სახეებთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული დებულების მიხედვით, კალენდარული აგრარული მითები იყო უმნიშვნელოვანესი მოდელი კლასიკური სიძველის ეპოპეისათვის. მრავალი ეპიკური გმირი, მათ შორის, ისტორიული პროტოტიპის მქონეც, გარკვეული სახით შეფარდებულია ამა თუ იმ ღვთაებასთან, მის ფუნქციასთან. ამის გამო ზოგიერთი სიუჟეტი ან ფრაგმენტი სიუჟეტისა რეპროდუცირებულია ტრადიციული მითოლოგემებიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს ეპიკური ძეგლის მთლიანად მითებისა და სარიტუალო ტექსტებისაგან წარმოშობას. მითოლოგიურ საფუძვლებს ინარჩუნებენ ეპოსის კლასიკური ფორმებიც (ე. მელეტინსკი, მითი და ფოლკლორის ისტორიული პოეტიკა, მოსკოვი, 1977, გვ. 7).

ცნობილი ამერიკელი მკვლევარის მ. კაულის თქმით: მითოლოგიის არ მქონე ერს არ შეიძლება ერი ეწოდოს.. იგი მხოლოდ საერთო ტერიტორიაზე მცხოვრები და საერთო კანონებს დამორჩილებულ ინდივიდუუმთა კრებადობაა" (მ. კაული, მრავალსარკმლიანი სახლი, მოსკოვი, 1973, გვ. 260). მიუხედავად ტიპოლოგიური და გენეტიკური თანხვედრილობისა, ყოველ ერს საკუთარი, მყარი ეროვნული მითოსური სახეები და წარმოდგენები აქვს.

პოლ ვალერი აღტკინებით წერდა: „მითები ჩვენი მოქმედების, ჩვენი ვნებების სულია. ჩვენ არ შეგვიძლია ვიმოქმედოთ სხვაგვარად, თუ რომელიმე აჩრდილისაკენ არ ავიღეთ გეზი... რანი ვიქნებოდით ჩვენ არარსებულის თანადგომის გარეშე? — უბადრუკნი და საწყალობელნიო" (პ. ვალერი, პატარა წერილი მითების შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, „ლიტერატურული საქართველო", № 35, 1979). მითისმქმნელის მიერ გამოქანდაკებული [illegible], გილგამეშის თუ პრომეთეს სახე მუდამ იყო და დარჩება იმის ნიმუშად, თუ როგორ სჭირდებათ ადამიანებს, კაცობრიობას არარსებულის თანადგომა.

მეცნიერებაში ხაზგასმითაა მითითებული ისიც, რომ მითოლოგია თავისი არსით განსხვავდება რელიგიისაგან, რომელიც ცდილობდა ფრთები შეეკვეცა მითოლოგიური ფანტაზიისათვის. მითოლოგიაში „პირველად გამოანათა ადამიანური თვითშეგნების, თვითშემეცნების უქრობმა შუქურამ" (ტრენჩენი-ვალდაპელ იმრე, მითოლოგია, მოსკოვი, 1959, გვ. 42).

ამირანი ათავისუფლებს მზეს, ამარცხებს ხთონური სამყაროს ბოროტ ძალებს (ქაჯებსა და ქაჯთბატონს, დევებსა და ვეშაპებს), ადამიანებს უტოვებს რძემდინარ პურს. პრომეთე ცეცხლს მოსტაცებს ღმერთებს და დედამიწაზე ჩამოიტანს. გილგამეში ამარცხებს ურჩხულ ხუმბაბას და უდიდესი ტანჯვის გზით მოიპოვებს ღმერთების კუთვნილ უკვდავების ბალახს, რათა, ღმერთების მსგავსად, ადამიანებიც უკვდავი გახადოს.

უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდ არის მითითებული ის გარემოება, რომ „ლიტერატურა თავისი განვითარების მთელ მანძილზე პირდაპირ იყენებდა ტრადიციულ მითებს მხატვრული თვალსაზრისით" (ე. მელეტინსკი, მითის პოეტიკა, მოსკოვი, 1976, გვ. 7).

„ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ ქსოვილში პროეცირებულია საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხის მიერ შემუშავებულ წარმოდგენათა ისეთი ასპექტები, რომლებიც დღემდეა შემონახული უძველეს მითოლოგიურ თქმულებებში, მემორატული და ფაბულატური ტიპის გადმოცემებში, საგმირო, საფერხულო, სატრფიალო და ფილოსოფიური ხასიათის ლექს-სიმღერებში.

მითოსური ასპექტები „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ სტრუქტურაში ყოველთვის გადატანითი სიმბოლურ-მეტაფორული მნიშვნელობითაა გამოყენებული. გენიალურ პოეტს ყოველივე ეს სჭირდება ღვთაებამდე ამაღლებული გმირების მონუმენტური სახის გამოსაკვეთად. შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა ბევრად მაღლა დგას თავისი დროის ყველა სახის რელიგიურ-მითოლოგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებაზე. მაგრამ საუკუნეების განმავლობაში მითოსური წარმოდგენების შედეგად შექმნილ ეროვნულ სახეებსა და კოლორიტს, მოდელებსა და მითოლოგემებს, რომლებმაც დროთა განმავლობაში გადატანითი, სიმბოლურ-მეტაფორული მნიშვნელობა შეიძინეს, აუცილებლად უნდა ეპოვათ და პოვეს კიდევაც თავისებური მხატვრული ასახვა ამ უკვდავ ნაწარმოებში.

საკმარისია დავასახელოთ „ამირანიანი", რომელიც ქართული მითოლოგიური პანთეონის გვირგვინსა და კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანთან შექმნილ უკვდავ „გილგამეშიანის" ტყუპისცალს წარმოადგენს. „ამირანიანის" მითოსური მოდელი თავისებური ასპექტითაა პროეცირებული „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ სტრუქტურაში. დემნა შენგელაია სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი „ღრმად ეროვნულია თავისი სამი ბრწყინვალე გმირის თავგადასავლითა და „ამირანიანთან" ფაბულარული კავშირით... რად მოიხიბლა შოთა რუსთაველი „ამირანიანის" სიუჟეტით?.. შოთა რუსთაველი ქართველი ხალხის ნამდვილი შვილი იყო და ამიტომაც იგი თავის შემოქმედების იმპულსებს ხალხში ჰპოვებდა" (წერილები, 1955, გვ. 194-195).

რა იმპულსი შეიძლება დავასახელოთ „ამირანიანის" მითოსური მოდელიდან, რომელმაც თავისებური ასახვა პოვა „ვეფხისტყაოსანში"?

ჩვენი ღრმა რწმენით, ეს იმპულსები შემდეგია: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, ამირან-ბადრი-უსუბის მსგავსად, იდეალურ ძმობა-მეგობრობას განასახიერებენ; ამირანი, ტარიელის მსგავსად, ამარცხებს ხთონური სამყაროს აბსოლუტურ ბოროტებას, რომელიც თქმულებაში ქაჯების სახითაა წარმოდგენილი. „ამირანის" ხთონური სამყაროს „მებრძოლი" ძალების (ქაჯების, დევების, გველეშაპების) შენდობა არ შეიძლება. ისინი მთლიანად უნდა მოისპოს. გაუთვალისწინებელი შეცდომის გამო (ბაყბაყ დევის მოჭრილი თავიდან ამოსული ჭიები, მიუხედავად ძმების გაფრთხილებისა, ამირანმა არ მოკლა) ღმერთკაცი ამირანი ვეშაპად ქცეულმა ჭიამ გადაყლაპა.

ყამარი (ცისკარი, მზე ქალი) ამირანმა და მისმა ძმებმა დაიხსნეს (მოიტაცეს) ზღვის გაღმა აღმართულ ხთონური სამყაროს კოშკიდან, რომელსაც ქაჯები პატრონობდნენ. დადევნებული ქაჯები (ქაჯთბატონიანად) მთლიანად მოსრეს ამირანმა და მისმა ძმებმა. მსგავსი მდგომარეობაა „ვეფხისტყაოსანშიც". აბსოლუტური ბოროტების მითოსური მოდელი, უმთავრესად, დაკავშირებულია პატრიარქატის დამარცხების შედეგად მიწისქვეშ დარჩენილ ღვთაებებთან ან მათთან მაკავშირებელ დემონებთან. დამარცხებული ქალი ღვთაებები ბოროტ ძალებად გარდაიქმნებიან. ისინი ადვილად არ თმობენ პოზიციებს. გეა (მიწა) უკავშირდება ურანოსს (ცას) და დაბადებს ტიტანებს, ციკლოპებსა და ასხელიანებს; ამაში შემოდის ასთავიანი ტითონიც. ესენი არიან „მიწის, (ხთონის) შემტევი ძალები". „მიწის დამცველ ძალებს" განასახიერებენ ერინიები — შურისმაძიებელი ღმერთქალები, რომლებიც ჰადესში ცხოვრობენ და დედისეულ გვარს, ე. ი. ხთონურ გვარს იცავენ, დევნიან „მიწის კანონების მოწინააღმდეგეებს". ასეთ დამცველ ძალად გვევლინება აგრეთვე ცერბერი, ქიმერა, სფინქსი, ხთონური გორგონა (მედუზა), ექიდნა, რომელიც მთის ღვიმეებში ცხოვრობს; დრაკონი ჰესპერიდი იცავს მიწის ნაყოფს — ოქროს ვაშლს (იხ. ა. ლოსევი, ბერძნული მითოლოგია. მოსკოვი, 1957, გვ. 63-64).

„ამირანიანსა" და „ვეფხისტყაოსანში" ხთონური სამყაროს ძირითად „შემტევ ძალებად" გამოყვანილია ქაჯები, რომელთა მოსყიდვა, ძალით დამორჩილება, ან გადმობირება არ შეიძლება. ეს აბსოლუტური ბოროტება მთლიანად უნდა მოისპოს.

„ვეფხისტყაოსანში" მოქმედი დემონოლოგიური პერსონაჟებისა და ფანტასტიკური პასაჟების თაობაზე საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ქ. კეკელიძეს, ალ. ბარამიძეს, ვ. ნოზაძეს, მ. ჩიქოვანს, ს. ცაიშვილს, გ. იმედაშვილს, დ. ჩქოტუას, შ. ჩიჯავაძეს, მ. კარბელაშვილსა და სხვებს. მაგრამ მათ განხილვაზე ამჟამად არ შევჩერდებით. შევეცდებით შეკუმშული სახით წარმოვადგინოთ ჩვენი ზოგიერთი დაკვირვება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

პოემის სათაური „ვეფხისტყაოსანი" მითოლოგემაა და აღებულია ქართული ხალხური (მითოსური) ტრადიციიდან (შდრ. „გველისმჭამელი", „ხის ბეჭი", „მთვარის მოტაცება", „ვაზის ყვავილობა", „დათა თუთაშხია", „თუთარჩელა", „ლაშარელა" და სხვა).

ქართულ მითოლოგიაში ვეფხვი წმინდა ცხოველად იყო მიჩნეული (ქართული ვეფხი იგივე ლეოპარდია — ჯიქი). იგი ტოტემიც იყო. ხევსურეთში „ვეფხვისა და არწივის მოკვლა დიდ ცოდვად ითვლებოდა, ვინაიდან მათი წარმოდგენით, ამ მტაცებლებს ადამიანთა მოდგმის „გონი და სისხლი აქვს" და მათი მოკვლა დიდი უბედურების მომასწავებელია. ამიტომ ვეფხვსა და არწივს ძველად ვაჟკაცის პერანგს აცმევდნენ, პატიებას სთხოვდნენ და ადამიანივით მარხავდნენ" (ლ. გოგოჭური, მელექსეობა ხევსურეთში, თბილისი, 1974, გვ. 152).

სვანური გადმოცემების მიხედვით, თაბი გოშთელიანმა მის მიერ მოკლული ვეფხვი ასე დაიტირა:

რომ არ მომეკლა შენი თავი, ნეტავ, შენ მაგივრად შვილი მომეკლა! რომ არ მომეკლა შენი თავი, ნეტავ, შენ მაგივრად სახლი დამეწვა! რომ არ მომეკლა შენი თავი, ნეტავ, შენ მაგივრად დედა მომეკლა! რომ არ მომეკლა შენი თავი, საკუთარი თავი მომეკლა! (ქართული ხალხური პოეზია, მ. ჩიქოვანის რედ., ტ. VII, თბილისი, 1979, გვ. 214).

მთქმელი განმარტავს: „იმდენი დატირება უთხრეს ვეფხვს, რამდენი ზოლიც ჰქონდა მის ტყავსო".

ვიაჩესლავ ივანოვი ვეფხვისა და ლეოპარდის მთავარ წმინდა ცხოველად მიჩნევას ხეთურ და მცირე აზიის მითოლოგიასთან აკავშირებს. ქართულ კულტურას კი აღნიშნულ ქვეყნებთან ბევრი რამ ჰქონდა საერთო. მკვლევარი ასახელებს „ვეფხისტყაოსანს", „სიმღერას როლანდზე" და დანტეს „ღვთაებრივ კომედიას", სადაც ამ წმინდა ცხოველებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ (იხ. მისი: ციდან ჩამოვარდნილი მთვარე... მოსკოვი, 1977, გვ. 9-10).

გენიალურ „ვეფხვისა და მოყმის ბალადაში" საოცარი პოეტური ძალითაა აღწერილი მოყმისა და ვეფხვის ტრაგიკული ორთაბრძოლა, რასაც მოსდევს დედის მიერ დაღუპული შვილისა და წმინდა ტოტემის (ვეფხვის) დატირების განუმეორებელი სურათი. სხვა ლექსებშიც, შედარება-მეტაფორის გარეშე (ასეთი ხომ უამრავია), ხშირად გვხვდება მონადირის ვეფხვთან შებრძოლების ამბავი („არშის კლდეს ვეფხვი ავკუწე, სამჯერ სამრად მეტია"; „ვეფხსა გაავლა თოლია, ჭრელია ვარსკვლავითაო" და სხვა).

წმინდა ცხოველის ტყავს ატარებდნენ გილგამეში, ჰერაკლე, როსტომი და სხვა. ენქიდუს სიკვდილით გაოგნებული გილგამეში გადაწყვეტს, რომ „მე თვით შენს შემდგომად ტანს აღარ განვიბან, ლომის ტყავს ჩავიცვამ, ველად გავიჭრები" (გილგამეში, ზ. კიკნაძის თარგმანი, თბილისი, 1962, გვ. 64). გილგამეშს ეს ტყავი არ მოუშორებია ადამიანური საზღვრის გადალახვის დროსაც. ზღვის გულში (შდრ. რუსთაველის „ზღვის ჭიპი") მჯდომი სიდურისაკენ მიმავალ ძნელ გზაზე სწორედ ეს ტყავი ეცვა მას. მითოლოგიურ ასპექტში ასეთი რამ გულისხმობს გმირის ტოტემისკენ დაბრუნებას, მაგრამ ამ შემთხვევაში მას სხვა დატვირთვა აქვს. ჰერაკლეს ლომის ტყავის მოსასხამს გამორჩეულობის, წილხვდომილობის ფუნქცია აქვს დაკისრებული. ლომის თავს კი, რომელსაც მუზარადის მაგივრად ატარებდა ჰერაკლე, ტიპოლოგიური კავშირი აქვს ვახტანგ გორგასალის „მგელთავთან", რომელიც გამორჩეულობის, წილხვდომილობის მანიშნებელია. ბერძნული მითი მოგვითხრობს: „ჯერ კიდევ ჭაბუკმა მოკლა მთათა მწვერვალზე ბინადარი კითერონის ლომი... ტყავი გააძრო. ეს ტყავი მოსასხამივით მოისხა მალუმ მხრებზე. მკერდზე თათები საბელივით შეიკრა, ხოლო ლომის თავი მუზარადის მაგივრობას უწევდა" (ა. კუნი, ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები, თბილისი, 1965, გვ. 14).

სიმონ ჩიქოვანი აღნიშნავდა, რომ „შაჰნამეში" როსტომს სპილოს ტანზე ვეფხის ტყავი აქვს წამოსხმული და ჯავშნის მაგივრობას უწევს... შოთა რუსთაველის ნაწარმოებში ვეფხის ტყავი მეტაფორული სახეა" (თხზ., ტ. III, თბ., 1967, გვ. 8-9).

ვეფხვის ან ლომის ტყავის მოსასხამი ვაჟკაცობაზე, მიჯნურის მეტაფორულ სახეზე უფრო მეტის მანიშნებელია. მას ატარებენ ამაღლებული გმირები (როსტომი), ნახევრად ღმერთკაცები (გილგამეში) ან თვით ღმერთკაცები (ჰერაკლე).

შოთა რუსთაველმა ქართველთა მთავარი წმინდა ცხოველის ტყავის მოსასხამი ჩვენი ლიტერატურის უპირველეს გმირს ჩააცვა. ამ ფაქტით მითოლოგიზებულია და სათაურშივე მინიშნებულია ტარიელის წილხვედრილობა, გამორჩეულობა, ღვთაებრივ ძალმოსილებამდე მისი ამაღლებულობა.

აპოლონ ცანავა.

ხიდი

ღირსშესანიშნავი საჩუქარი

ბათუმში რამდენიმე დღე მუშაობდა პირველი საუნივერსიტეტო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სამსუნისა და ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. თურქეთიდან ჩამოსულ სამეცნიერო დელეგაციას ხელმძღვანელობდა სამსუნის უნივერსიტეტის რექტორი ბატონი მამედ საღლამი. კონფერენციის მიზანი იყო სამეცნიერო, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება თურქეთსა და საქართველოს შორის.

კონფერენციაზე წაიკითხეს მოხსენებები ორივე ქვეყნის აქტუალურ საკითხებზე და ეკოლოგიურ პრობლემებზე.

კონფერენციის მონაწილეები მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ასლან აბაშიძემ. იგი შეეხო მეზობელი ქვეყნების ურთიერთსასარგებლო საქმიან ურთიერთობას, სტუმრებს გააცნო აჭარის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა.

სამსუნის უნივერსიტეტის რექტორმა მამედ საღლამმა ასლან აბაშიძეს საჩუქრად გადასცა თურქულ ენაზე დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი".

მიხეილ გორგილაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

სპორტი

ქართველი კარატისტები—ტოკიოში

იაპონიაში „ინტერნეიშნლ კარატე ორგანიზეიშნის" საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ კონტაქტურ კარატე „კიოკუშინში" გამართულ დიდ საერთაშორისო ასპარეზობაში დამოუკიდებელ გუნდად პირველად გამოვლინდნენ საქართველოს სპორტსმენები. ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა ტოკიოს ოლიმპიური სასახლის არენაზე გამოიტანა „კიოკუშინ" კარატეს რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკაში „ინტერნეიშნლ კარატე ორგანიზეიშნის" ფილიალის დირექტორმა გურამ ბარაბაძემ. მას ესაუბრება საქინფორმის კორესპონდენტი.

— 1991 წლის გაზაფხულზე გამართული რესპუბლიკის პირველი ოფიციალური ჩემპიონატის შემდეგ იაპონიიდან ჩამოვიდნენ „კიოკუშინის" სკოლის წარმომადგენლები. მათ გამართეს წვრთნა ჩვენს ნაკრებ გუნდთან ერთად და მიგვიწვიეს თავისთან, რაც ჩვენი ბიჭების მომზადების დონის ჩინებული დამადასტურებელია.

— როგორი იყო ამ ასპარეზობის სტატუსი?

— მას ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონატის რანგი. საორგანიზაციო კომიტეტში შედიოდნენ რონალდ რეიგანი, ესპანეთისა და იორდანიის მეფეები ხუან-კარლოსი და ჰუსეინი, საუდის არაბეთის პრინცი ფეისალი, შრი-ლანკის პრეზიდენტი ჯაიერდანე, იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტაკიო ფუკუდა... მოწვეული იყვნენ იაპონიის მთავრობის წევრები. ერთი სიტყვით, ასპარეზობის დონე და წარმომადგენლობა საკმაოდ მაღალი იყო. ჩემპიონატი გაიხსნა ლამაზი ცერემონიით. ჩვენმა გუნდმა „ინტერნეიშნლ კარატე ორგანიზეიშნის" დირექტორსა და დამაარსებელს მასუტასუ ოიამეს მიართვა ხანჯალი და ნაბადი, რომელიც მან მაშინვე მოიგდო მხრებზე.

— თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ ჩემპიონატზე.

— უნდა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ არა ქვეყნები, არამედ 2-2 სპორტსმენი „ინტერნეიშნლ კარატე ორგანიზეიშნის" ყოველი ფილიალიდან.

ასპარეზობა სათასო სისტემით მიმდინარეობდა, გამარჯვებული გამოვლინდა აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. მონაწილეობდნენ აგრეთვე ჭიდაობის სხვა სახეობების — მოტაკანის, ოპეკვონდოს, ტაილანდური კრივის, კუნგ-ფუს წარმომადგენლები... მაგრამ 8 უძლიერესი მაინც „კიოკუშინის" სკოლის წარმომადგენლები იყვნენ. ყოფილ სსრ კავშირს წარმოადგენდნენ საქართველო, რუსეთი და უკრაინა. ჩვენი გუნდის ღირსებას იცავდნენ ტარიელ ბიწაძე და ოთარ გელაძე. ტარიელს პირველივე ეტაპზე მრისხანე მეტოქე შეხვდა — შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი შვეიცარიელი ენდი ჰუგი. ჩვენ გვაქვს ორთაბრძოლის ვიდეოჩანაწერი და, თუ მოვახერხეთ, ვუჩვენებთ მას ტელევიზიით. მაყურებელი, ალბათ, დარწმუნდება, რომ ეს იყო თანაბარი ძალის მეტოქეთა ორთაბრძოლა. ქულებით გაიმარჯვა ჰუგმა. ოთარს კი ხვდებოდა დომინგოს რესპუბლიკის ჩემპიონი, მე-2 დანისა და შავი ქამრის მფლობელი ლუის პასტოლანესი. ოთარმა, რომელიც მას ჩამორჩებოდა როგორც წონით, ისე სიმაღლით, სარმით სამჯერ დააჩოქა მეტოქე და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მომდევნო ორთაბრძოლაში იგი ქულებით დამარცხდა არგენტინის ჩემპიონთან.

„კიოკუშინის" წესები საკმაოდ მკაცრია. ნებადართულია ნებისმიერი დარტყმა სხეულის ნებისმიერ წერტილში, სახეში ფეხითაც კი. წმინდა გამარჯვება სპორტსმენს ენიჭება ბრძოლის ნოკაუტით მოგებისათვის. ამიტომ აქ ხშირია ნოკაუტები, ზოგიერთები კი საკაცეებითაც გაჰყავთ. მაგალითად 200-კილოგრამიანი ამერიკელი გოლიათი რობერტ დოსტი ძლივს მოიყვანეს გრძნობაზე. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ბიჭები ამ ფონზე საკმაოდ ღირსეულად გამოიყურებოდნენ.

— საქართველოს ჩემპიონატის გამართვისას გამოგვადგება ტოკიოს გამოცდილება?

— რა თქმა უნდა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ასეთი ასპარეზობა შეიძლება გახდეს ნამდვილი დღესასწაული და არა მარტო ძალისა და ტექნიკის გამოვლინება. ეს შეიძლება იქცეს ლამაზ სანახაობად, რომელიც პროპაგანდას უწევს ცხოვრების ჯანსაღ წესს. შევეცდებით ეს გავითვალისწინოთ საქართველოს 1992 წლის ღია ჩემპიონატზე. ვიწვევთ თურქეთის, უკრაინის, რუსეთის, სხვა ქვეყნების კარატისტებს. დაწესებული იქნება ფულადი პრიზებიც.

იაპონიაში გამგზავრებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ჩვენმა სპონსორებმა, კერძოდ, სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ, ერთობლივმა საწარმო კონცერნმა „ალუ საქართველომ". სპონსორებზე უარს არც ახლა ვამბობთ. მზადება ჩემპიონატისათვის, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება, უკვე დაიწყო.

საუბარს უძღვებოდა
იური ლოხვიცკი,

რევაზ ინანიშვილი...

რაოდენ მახლობელია ეს სახელი ქართველი კაცისათვის.

მან ადრევე მოიპოვა მშობლიური ხალხის აღიარება და სიყვარული თავისი განუმეორებლად უშუალო, ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ წყლის წვეთივით გამჭვირვალე შემოქმედებით. საფიქრებელია, რომ სწორედ სისადავე და აზრის მიუკიბ-მოუკიბავად გამოთქმაა ნამდვილი ხელოვნების უტყუარი საზომი.

გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა მას ჩვენს რედაქციასთან. მაშინ, როცა გაზეთს ჯერ კიდევ „კომუნისტი" ერქვა და მკვეთრად გამოიკვეთა ახალი აზროვნებისა და ახლებურად ცხოვრების მისწრაფებანი, მან უყოყმანოდ შეგვაშველა თავისი ღრმად მოფიქრებული პუბლიცისტური სიტყვა, გადაჭრით დადგა სიმართლისა და სინათლის მხარეს.

ბოლო დროს სულ შეწუხებული ჩანდა, მაგრამ ეს მარტოოდენ ავადმყოფობის მოძალებით როდი აიხსნებოდა. მწერალსა და მოქალაქეს სამშობლოს ბედი აფიქრებდა, ირგვლივ კი ყველაფერი ბურუსში ეხვეოდა. უკანასკნელი მოთხრობა ამ ორი თვის წინათ მოგვიტანა, გადახედეთო. ცხადია, გადავხედეთ და დავბეჭდეთ კიდეც, მაგრამ ერთი დეტალი დაგვამახსოვრდა. მოთხრობის სტამბაში აწყობის შემდეგ შემთხვევით დედნის ერთი გვერდი დაიკარგა. ბატონ რევაზს რედაქციაში მოსვლა უჭირდა და ამიტომ შინ დავურეკეთ, იმ ერთი გვერდის შინაარსი წავუკითხეთ. — ყოჩაღ ბიჭებო,— უშეცდომოდ აგიწყვიათ, ასეც დაბეჭდეთო. ეს იყო ბოლო ფრაზები, რომელიც ყურმილიდან მოგვესმა.

შემდეგ მოხდა ისე, რომ თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო რევაზ ინანიშვილი შესაფერისად ვერც დავიტირეთ, მაგრამ ხალხი არასოდეს დაივიწყებს თავის ღირსეულ შვილს.

ამჯერად გთავაზობთ მის ერთ-ერთ მოთხრობას.

მომღერალი სახლი

დედაბერი კაკლის ფესვზე დაჯდა.

— ეგ სახლი, შვილო, საწყალი ჩემი მაზლისაა. ორნი ძმანი იყვნენ, ჩემი ქმარი ივანე და ჩემი მაზლი იმედი, დებიცა ჰყვანდათ, სამი და. ერთი იმათი და გურჯაანშია გათხოვილი, დიდი ნამრავლი ჰყავს. მეორე, სამძივარი, ქალაქში წაიყვანა ცოლად მილიციელმა. ის მილიციელი ომის წინ მოკლეს ქურდებმა, მაგრამ იმათაც კარგი ნამრავლი ჰყავთ, — შვილები, შვილიშვილები. მესამე დაც კახეთშია გათხოვილი, ისიც გამრავლებულია. ჩვენცა, მე და ჩემმა ქმარმა, ექვსი შვილი გავზარდეთ, ოთხი ბიჭი: სანდრო, უფროსი, ვეტექიმი, ყოჩაღი, სწრაფი, ცეცხლივით, ცოლიც ყოჩაღი შეხვდა, ოთხი შვილი იმათა ჰყავთ, სუ ბიჭები, სუ ერთმანეთზე კარგები. მეორე — ვლადიმერი, მექანიზატორი, ისიც ოთხი შვილის პატრონი. მესამე — ირაკლი, მეოთხე — შიო, — ესენიც ცოლშვილიანები. მეხუთე — თინა, მასწავლებელი, კარგი, ძალიან კარგი ქმარ-შვილით; მეექვსე კიდევ მერი. სუ პატარა, ქალაქში გათხოვილი, ძალიან მცდელი, ნასწავლი ქმრით, ჩვენ ყველანი აგრე ვართ გამრავლებულები, მარტო ის ჩემი საწყალი მაზლი გამტვერდა და განიავდა უშვილძიროდ. მოიყვანა ერთი ქალაქელი მზეთუნახავი, — ლამაზი, ლამაზი, რომ სიკვდილი მოგინდებოდა იმის დანახვას. აი, თვალები, — დედაბერმა წრეები გამოისახა სახეზე, — მრგვალები, ფრთებაწეული შავი ფარვანები. პირისახე კიდევ — თხელი, ხელ-მკლავიც წვრილი, წვრილი. დაჯდებოდა თავადის ქალივით, დაიწყობდა ხელებს წინ და ათამაშებდა თითებს. ჩემი საწყალი მაზლი კიდევ, რუსეთმოვლილი, ნაომარი, კეთილადქმნილი მხისშვილივით, მონა, მონა-მოსამსახურე, ცეცხლის ალში გადიოდა, ოღონდ იმისთვის რაიმე ესიამოვნებინა. წყალს არ მოატანინებდა, ხელზე არ დაასხმევინებდა, შეშას არ შეაკეთებინებდა ღუმელში. წავიდოდა, მთელ დღეს ივლიდა, ყორანმთაში ავიდოდა და ერთ მუჭა უცხო ყვავილს იქიდან ჩამოუტანდა. ეგ სახლი იმას აუშენა სუ თავისი ხელით. ის იჯდა, ის ჩემი ქალბატონი რძალი, თვალებს აბიბინებდა, ჩემი მაზლი კიდევ, ხელსწრაფი, დაუღალავი, კალატოზობდა კიდეც, დურგლობდა კიდეც, კირის ამრევიც ის იყო. აგე ლამაზი ბალკონები სუ თავისი ხელით აქვს დაჭრელებული, ბალკონებიც და ოთახებიც, — მორთული, მოკუწუწებული. ხის მასალას რასაც უყურებთ, სუ ერთი თელისაა, ერთი თელამუშისა. ფერი ჰქონდა — ჯერ ეხლა როგორი აქვს — მაშინ ბაცი იყო, იასამნის მტვერისფერი; საიდან აღარ მოდიოდნენ მნახველები, მღეროდა პირდაპირ. მერე ამდენი შრომით, გენაცვალეთ, შვილო, დაავადმყოფდა ჩემი საწყალი მაზლი, იავადმყოფა ცოტა ხანს და მოკვდა. ჩემმა რძალმა კიდევ, ჩაიცვა შავი, დაჯდა შინ შავი ყარყუმივითა და იჯდა. გაუთხოვარი და ჰყვანდა, ის ჩამოიყვანა და იყვნენ ეგრე ორნი, რა მთხოვნელები, რა ქონების პატრონები, — მაგრამ პირი არ უჩვენა არავის. ჩამოჭკნა ბნელში და გახმა. თითონ ხომ არაფრის გაკეთება არ შეეძლო. ის და უვლიდა, იმან დაუხუჭა თვალებიც. წავედით და დავმარხეთ ქმართან. ერთმანეთს მივატყუპეთ კუბოები. დარჩა ის ქალიღა, ჩემი რძლის და, ეხლაც ისა ცხოვრობს მაგ სახლში, — ბებერი, გადაღუნული. სამინისტროს უნდა სახლის ყიდვა, ეგრევე უნდა შევინახოთ, [illegible], ის ქალი კიდევ, ჩემი რძლის და, ჩვენა გვწყევლის, ქვის ქვეშა გვსხამს ყველას. ჩვენ რას ვუშავებთ, შვილო, მაგრამ განა მარტო ჩვენა, მთელ ქვეყანას სწყევლის. ნახვას არც კი გირჩევთ საზარელი შესახედავია ძალიან. ისევ აქედან უყურეთ სახლს, ცოტაც და მზეც მიადგება, უყურეთ და დატკბით, თან იმ ჩემი რძლის თვალებიც წარმოიდგინეთ, ბალკონზედა. უადამიანოდ ყველაფერი ბრმაა.



მხატვრის თვალით

იმ საშინელ ტრაგიკულ დღეებში რუსთაველის პროსპექტზე გამუდმებით მორიგეობდნენ. წითელი ჯვრის საზოგადოება „სანთლის" წევრები. ეს ძირითადად სპორტსმენები და მედიკოსები არიან. ისინი ეხმარებოდნენ სასწრაფო დახმარების ექიმებს, გამოჰყავდათ დაჭრილები, უწევდნენ მათ პირველ სამედიცინო დახმარებას.

საზოგადოება „სანთლის" წევრთა შორის იყო საქართველოს დამსახურებული მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების კათედრის პროფესორი გივი მიზანდარიც. ამ მშფოთვარე დღეებში გადატანილი თავისი განცდები მან გრაფიკის ენით გადმოგვცა. საქართველოს რესპუბლიკაში გლოვის დღეს, მიმდინარე წლის 11 იანვარს, მხატვარმა დაასრულა მუშაობა თბილისის ტრაგიკული მოვლენებისადმი მიძღვნილ გრაფიკულ ეტიუდზე.

სურათზე: რუსთაველის პროსპექტზე დატრიალებული ტრაგიკული ამბების თემისადმი მიძღვნილი მხატვარ გივი მიზანდარის გრაფიკული ეტიუდი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

მხოლოდ ქალები

რუსთავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ფრანგი დრამატურგის რობერტ ტომას პიესა „რვა მოსიყვარულე ქალი".

ამ ძნელბედობის ჟამს, როცა უჭირს საქართველოს, თეატრის კოლექტივის მიერ გადადგმული ნაბიჯი ვაჟკაცობად უნდა ჩაითვალოს, მათ როდი გაიმეორეს სხვა თეატრების ბედი, რომელთა რეპერტუარი უმთავრესად წინა დადგმებისაგან შედგება. ორმაგად ვაჟკაცობაა იგი, რადგან ეს კეთილშობილი საქმე თეატრის ქალებმა იკისრეს.

სპექტაკლი დადგა ცნობილმა მსახიობმა, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ლეილა შოთაძემ. მასში მთლიანად ქალები არიან დაკავებული: რესპუბლიკის სახალხო არტისტები ვენერა ნეფარიძე და ია ხობუა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნათელა მუხულიშვილი, მსახიობები ცინუკი მესხი, ხათუნა იოსელიანი, ლეილა ჭავჭანიძე, დონარა გვრიტიშვილი, ხათუნა ბოკუჩავა, მანანა გოდერძიშვილი, ლუიზა კალანდაძე, ნინო მესხი, თინა თურქიაშვილი. მუსიკა ეკუთვნის დალი გურგენიძეს, ტექნიკური რედაქტორია ლეილა ჯელაძე. მხოლოდ მხატვარი და ქორეოგრაფი „დაისუსხეს" მამაკაცებიდან. ესენი არიან გურამ მღებრიშვილი და ბექარ მონავარდისაშვილი.

— თქვენ, აღიარებულმა მსახიობმა, თავი რეჟისურაშიც სცადეთ და ეს საქმეც გამარჯვებით დააგვირგვინეთ, როგორ გაჩნდა ეს იდეა? ვკითხეთ ქალბატონ ლეილას.

მან განაცხადა:

— მოწოდებით და შინაგანად, რა თქმა უნდა მსახიობი ვარ და გულით ვემსახურები ამ საქმეს. უბრალოდ, ამ სპექტაკლის დადგმის სურვილი გამიჩნდა იმიტომ, რომ დასში შეიკრიბნენ ჭეშმარიტად ნიჭიერი ადამიანები, მათ შორის უმრავლესობა ქალები და, ცხადია, ჩვენი სიტყვა უნდა გვეთქვა. კიდეც გაგვიმართლა. სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო, გვაქვს სრული ანშლაგი. გამბედაობა შემმატა იმანაც, რომ როგორც რეჟისორი, სხვა სპექტაკლზეც ვარ ნამუშევარი. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ დაგვეძლია „გამყინვარება", რაც მსახიობისათვის მომაკვდინებელია, მისთვის სასიცოცხლო იმპულსი — ახალი სპექტაკლი, ახალი როლი, მაყურებელთან ახალი შეხვედრის სიხარული მიგვენიჭებია. აი ყოველივე ამან ერთად მოიყარა თავი ჩემში, ჩვენში და გადავდგით კიდეც ეს ნაბიჯი.

ახალ სპეტაკლში სხვა „ნოვატორობაცაა". პრემიერა, ასე ვთქვათ, ორჯერ გაიმართა. როგორც ცნობილია, ამა თუ იმ როლზე ერთდროულად ორი მსახიობი მუშაობს. კოლექტივმა გადაწყვიტა სპექტაკლი წარმოადგინოს „მეორე დასმაც" და ამით ზეიმი მთელი კოლექტივის თითოეულმა წევრმა გაინაწილოს და შეიგრძნოს. აქ თვლიან, რომ ეს მათი უცილო პირობაა და ამაშიც გამოიკვეთა მთელი კოლექტივის ერთსულოვნება, გულისხმიერება, სიყვარული და პატივისცემა.

ერთი სიტყვით, რუსთაველთა ახალი სპექტაკლი ეს არის სითბოთი და იუმორით გამსჭვალული შემოქმედება. აქ ერთმანეთთან დაკავშირებულია მსახიობთა რამდენიმე თაობა: ბებია, დედა, შვილი, შვილიშვილი. ეს სპექტაკლი უთუოდ მიიზიდავს მაყურებელს და იგი კარგი საჩუქარია ქართული თეატრის დღისთვის.

დავით გიწაძე.
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

საქართველოს დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარეს ბატონ ვალერიან ადვაძეს

ბატონო ვალერიან!

როგორც ჩემთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გახდა ცნობილი, საქართველოს დემოკრატიულ კავშირს თავის დამფუძნებელ კონფერენციაზე დაუსწრებლად ავურჩევივარ კავშირის თანათავმჯდომარედ.

ეს ჩემთვის დიდი პატივია, რადგან ამ ფაქტს მე აღვიქვამ საქართველოში ყველა სახის ტოტალიტარულ რეჟიმთან პირადად ჩემი და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტიის შეურიგებელი ბრძოლის დამსახურებათა აღიარებად.

მაგრამ გარკვეულ გარემოებათა გამო არ შემიძლია ამ პატივის მიღება. უპირველეს ყოვლისა ეს დაკავშირებულია საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ინტერესებთან. იმ უმნიშვნელოვანესი და უკეთილშობილესი მიზნების მსახური ორგანიზაციისა, რომლისადმი დამოკიდებულებაც ნებისმიერი მთავრობის ეროვნული პოლიტიკის სასინჯი ქვაა.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წესდების მიხედვით, ეს საზოგადოება არაპოლიტიზირებული ორგანიზაციაა და მის ხელმძღვანელ ორგანოებში არ შეიძლება აირჩიონ პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წევრები. ცხადია, გარდა სდს ეროვნული პარტიისა, რომელიც საარჩევნო ტიპის პარტიაა (პირველი საქართველოში) და მუდმივი წევრები არ ჰყავს.

მე კი, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი გახლავართ.

სხვა მხრივ მინდა დაგარწმუნოთ: [illegible] ერთგული ვარ იმ აზრისა, რომ ქვეყანა შესაძლებელია იყოს დამოუკიდებელი და არ იყოს დემოკრატიული, მაგრამ შეუძლებელია ქვეყანა იყოს დემოკრატიული და არ იყოს დამოუკიდებელი. ამიტომ მომავალი დემოკრატიული საქართველოს ყველა მომხრეს ყოველგვარი პოსტის გარეშეც შეუძლია ჩამთვალოს თანამშრომლად და თანამებრძოლად.

პატივისცემით
მიხეილ ქურდიანი.

ნუ ღელავთ, მეანაბრეებო!

საქართველოს მოქალაქეთა მიერ შემნახველ ბანკებში შეტანილი ყველა ფულადი ანაბარი შენარჩუნებული იქნება. და ეს იმის მიუხედავად, რომ ბანკის გამგეობის ცენტრალური აპარატის შენობა, იქ შენახულ ყველა დოკუმენტთან ერთად, დამწვარი და დანგრეულია. ეს საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს აცნობა შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ნუკრი ვახტანგიშვილმა.

— განადგურებულია მხოლოდ ჩვენი მთაწმინდის ცენტრალური ბანკი და მისი სამი ფილიალი, — თქვა მან. — რაც შეეხება იმას, გაჰქონდათ თუ არა ჩვენგან ფულის ნიშნები რესპუბლიკის პარლამენტის ან მინისტრთა კაბინეტის სახელზე, შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი შემთხვევები ჩვენს სისტემაში არ ყოფილა. სხვა ბანკების შესახებ ინფორმაცია არ მაქვს.

სად მიდიოდა ხალხის ფული?

საქართველოს ეროვნული ბანკის შენობა განვლილ ტრაგიკულ დღეებში არ დაზიანებულა. ამ დროის მანძილზე მას თავს არავინ არ დასხმია, ფულის საცავი გადარჩა. ეს უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ამ ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ვაჟა ჯინჯიხაძემ.

— ამჟამად, — თქვა მან, — რესპუბლიკის პროკურატურასთან ერთად ვსწავლობთ მთელ არსებულ დოკუმენტაციას საქართველოს ბანკებიდან ფულის ნიშნების გატანის შესახებ. გვაქვს ცნობები, რომ რესპუბლიკის პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი, რომლებიც იყენებდნენ სხვადასხვა სახელმწიფო და კომერციულ ორგანიზაციებს, ამა თუ იმ ფირმებს, იღებდნენ ნაღდ ფულს საქართველოს ბევრი ბანკიდან. ამ ფაქტების ზედმიწევნით შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს ხალხისაგან აღებული ფულის ზუსტი თანხა. და, რაც ასევე ფრიად მნიშვნელოვანია, შევიტყობთ, თუ რისთვის გამოიყენეს ეს ფული. უნდა ითქვას, რომ ამ ოპერაციებში დიდი როლი შეასრულა საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ. მისი დახმარებით იხსნებოდა მრავალმილიონიანი კრედიტები ამა თუ იმ ორგანიზაციებისათვის, შემდეგ კი ფულის ეს თანხა გადაირიცხებოდა პარლამენტისა და მთავრობის ანგარიშზე. შემდგომში „ამა თუ იმ საჭიროებისათვის" პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი ბანკებიდან იღებდნენ ნაღდ ფულს.

— ახლა უკვე შეიძლება ითქვას, — თქვა შემდეგ ვაჟა ჯინჯიხაძემ, — საზღვარგარეთ სამოგზაუროდ მათ მიერ მიღებული სავალუტო სახსრები ბევრად აღემატებოდა დადგენილ ნორმებს. თითოეული ასეთი მოგზაურობა რესპუბლიკას ათიათასობით დოლარი უჯდებოდა.

სარედაქციო კოლეგია.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხიზანიშვილის ქ. № 29. ინდექსი 64434.